

# აქტიური – ახალი სასწავლო წელი

1239

2013



# საქართველოს იკლიოთეკა

ISSN 1512-0880

№3 (52)-2013

# საქართველოს

# ბიბლიოთეკა



გავშვი – წიგნი – გიზლიოთეკა

რედაქციის მისამართი:

თბილისი ვაკედიის ქ.

№18, ბ. 16

ტელ 223-02-98

297-16-83

ქურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდნარა სფურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექსონდენტებთან მუშაობის

რედაქტორ-კოორდინატორი

ინლსაწარმო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის


სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი გამომცემის წელიწადში ოთხჯერ



**შინაარსი**

საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების პრობლემები .....5

216

**საბიბლიოთეკო საქმის ისტორია**

გურამ თაყნიაშვილი – პარტიულობის პრინციპის შედეგები საბიბლიოთეკო საქმეში .....7

**საბიბლიოთეკო სისტემა**

ალექსანდრე ლორია – საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის ახლებურად  
ჩამოყალიბებისათვის (კონცეფციის პროექტი) ..... 11

**ჩვენი ბიბლიოთეკები**

ანა გერგედავა – ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკა ..... 15

**საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია**

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია: ცვლილებები მართვაში ..... 17

**კორესპონდენციები**

- ნ. თათარაშვილი – ბიბლიოთეკა – ცოდნის ტაძარი ..... 19
- გ. ბლუაშვილი – მკითხველთა აქტივობით ..... 21
- პოეზიის საღამოები „კათარზისში“ ..... 22
- ქეთევან ნიკურაძე – პროექტი – ინტელექტუალური ვიქტორინა-თამაში..... 25
- ნ. მუმლაძე – „მოცარტიანა“ – 2013 თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ..... 27
- გულნარა სტურუა – კადრები, მათი მნიშვნელობა ბიბლიოთეკების მართვაში..... 29
- სვეტლანა გვასალია – ამალღებული წუთები ..... 30
- ნინო ნოზაძე – წიგნს ჩვენი სიყვარული ..... 31
- ნინო ნოზაძე – „მე ახლა ლექსით ვცხოვრობ“ ..... 31
- ნინო ჭალიძე – ტრადიციად დამკვიდრებული სიახლე ..... 32
- ეთერი თაყნიაშვილი – სტუმრად ბიბლიოთეკაში ..... 33
- მნიშვნელოვან ღონისძიებათა ნაკადში ..... 34

**ღირსეული წინაპრები**

- თინათინ იოსავა – მარიამ თათეიშვილი (გარიყული) – 130 ..... 37
- იური სიხარულიძე – დაუვინყარი ..... 40

## ინფორმაცია

|   |    |
|---|----|
| გრძნობათა გაორების გამოხატულებით .....  | 41 |
| ახალი ლექსების კრებული .....  | 41 |
| რუსი ბიბლიოთეკათმცოდნის მორიგი ნაშრომი .....                                  | 42 |
| ღვანლის ამსახველი წიგნი .....   | 43 |
| ქართული ენისა და სასულიერო პირთა სადიდებელი .....                             | 44 |
| ლალი გოქაძე – წიგნი – ბიბლიოთეკა – ნიჭიერება – ირინა ცუხიშვილის ლექსები ..... | 46 |

## რევიუ

|   |    |
|---|----|
| იური მგალობლიშვილი – გერმანული კინო სხვადასხვა რაკურსით ..... | 48 |
|---|----|

## ქრონიკა

|  |    |
|--|----|
| საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები .....   | 50 |
| „ივერიელი“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინოვაცია ..... | 51 |

## БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 3 (52) – 2013

## СОДЕРЖАНИЕ

|  |   |
|--|---|
| Проблемы книжных фондов в библиотеках Грузии ..... | 5 |
|--|---|

### История библиотечного дела

|   |   |
|---|---|
| Гурам Такниашвили – Результаты принципа партийности в библиотечном деле ..... | 7 |
|---|---|

### Библиотечная система

|   |    |
|---|----|
| Александр Лория – К формированию обновленной библиотечной системы Грузии (проект концепции) ..... | 11 |
|---|----|

### Наши библиотеки

|  |    |
|--|----|
| Анна Гергедава – Библиотека учреждения по отбытию наказания для женщин ..... | 15 |
| Библиотечная ассоциация Грузии: изменения в управлении .....                 | 17 |

### Корреспонденция

|   |    |
|---|----|
| Н. Татарашвили – Библиотека – храм знания ..... | 19 |
| Г. Блуашвили – При активности читателей .....   | 21 |
| Вечера поэзии в «Катарзисе» .....               | 22 |

|   |    |
|---|----|
| Кетеван Никурдзе – Проект – Интеллектуальная игра-викторина .....           | 25 |
| Н. Мумладзе – «Моцартиана» – 2013 в главной библиотеке .....                | 27 |
| Гульнара Стура – Кадры, их значение в управлении библиотеками Тбилиси ..... | 29 |
| Светлана Гвасалиа – Возвышенные минуты .....                                | 30 |
| Нино Нозадзе – Книге – наша любовь .....                                    | 31 |
| Нино Нозадзе – «Я живу стихом» .....  | 31 |
| Нино Чалидзе – Новшество, превратившееся в традицию .....                   | 32 |
| Этери Такниашвили – В гостях у библиотеки .....                             | 33 |
| В потоке значительных мероприятий .....                                     | 34 |

### Достойные предшественники

|   |    |
|---|----|
| Тинатин Иосава – Мариам Татеишвили (Гарикули) – 130 ..... | 37 |
| Юрий Сихарулидзе – Незабываемая .....                     | 40 |

### Информация

|  |    |
|--|----|
| Выражение удвоенных чувств .....                     | 41 |
| Сборник новых стихов .....                           | 41 |
| Очередной труд русского библиотековеда .....         | 42 |
| Книга, посвященная заслугам .....                    | 43 |
| Книги, славящие грузинский язык и духовных лиц ..... | 44 |
| Лали Гокадзе – Книга – библиотека – талант .....     | 46 |

### Ревю

|   |    |
|---|----|
| Юрий Мгалоблишвили – Немецкое кино в различных ракурсах ..... | 48 |
|---|----|

### Хроника

|   |    |
|---|----|
| Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты ..... | 50 |
| „Ивериели“ .....  | 51 |

## The Georgian Library N 3 (52)-2013

### Contents

|  |   |
|--|---|
| The problems of Georgian libraries' book funds ..... | 5 |
|--|---|

### Library history

|   |   |
|---|---|
| Guram Takniashvili- The results of party-principles in library activity ..... | 7 |
|---|---|

### Library system

|   |    |
|---|----|
| Alexandre Ioria- For the new formation of Georgian library system (project of conception) ..... | 11 |
|---|----|

## Our Libraries

|  |    |
|--|----|
| Anna gergedava – Women punishment office library ..... | 15 |
|--|----|

## Georgian Library Association

|  |    |
|--|----|
| Georgian Library Association: changes in management..... | 17 |
|--|----|

## Correspondences

|   |    |
|---|----|
| N. Tatarashvili - Library –the temple of knowledge.....                   | 19 |
| G. Bluashvili – By readers’ activity.....                                 | 21 |
| Poetical evenings in “ Catharsis” .....                                   | 22 |
| Ketevan Nikuradze – Project – intelectual quiz- play .....                | 25 |
| N. Mumladze - “Mozartiana” – 2013 in Tbilisi chief library.....           | 27 |
| Gulnara Sturua - The personnel, its importance in library management..... | 29 |
| Svetlana Gvasalia - Raised minutes .....                                  | 30 |
| Nino Nozadze – Our love to a book .....                                   | 31 |
| Nino Nozadze – “I’m living by poem now” .....                             | 31 |
| Nino Chalidze - The news settled as a tradition .....                     | 32 |
| Eter Takniashvili - Go on a vizit in library.....                         | 33 |
| In stock of important arrangements .....                                  | 34 |

## Worthy Ansectors

|  |    |
|--|----|
| Tinatin Iosava - Mariam Tateishvili (Garikuli) – 130 ..... | 37 |
| Iuri Sikharulidze – Unforgettable .....                    | 40 |

## Information

|   |    |
|---|----|
| With expression of dual feelings.....                                 | 41 |
| New poems’ collection .....   | 41 |
| The next work of russian library scientist .....                      | 42 |
| The book expressing a merit.....                                      | 43 |
| Panegiric to the Georgian language and clericals .....                | 44 |
| Lali Gokadze – Book – library- talent- Irina Tsukhishvili poems ..... | 46 |

## Review

|   |    |
|---|----|
| Iuri Mgaloblishvili – German cinema in different racourses..... | 48 |
|---|----|

## Chronicle

|   |    |
|---|----|
| Georgian library life’s chronicle, events and facts ..... | 50 |
| “IVERIELI” .....  | 51 |

# საქართველოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების პრობლემები

იყო დრო, როცა საქართველოს ბიბლიოთეკები-სათვის მთავარ პრობლემას საცავების გაფართოება წარმოადგენდა. თითქმის არ იყო არც ერთი ბიბლიოთეკა, თავსატეხი არ ჰქონდა, როგორმე გადაენწყვიტა ეს პრობლემა. მართალია, ფონდების შექმნისა და დაცვის საქმეში ბევრი იყო უზუსტობა, უსარგებლო ლიტერატურით დაკომპლექტების ფაქტები, რაოდენობრივი სიჭარბისადმი მიდრეკილება, შეუსაბამო, არაპროფილური ლიტერატურით ფონდების შევსება, ერთი და იმავე დასახელების წიგნების დიდი რაოდენობით შექმნა, რაც ხშირად ზემდგომი ინსტანციების დავალებით ხდებოდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, რაც ბიბლიოთეკაში ხვდებოდა, საერთოდ, ფრიად საჭირო, სასარგებლო ლიტერატურას წარმოადგენდა. მათ შორის ბევრი იქცეოდა ოპერატიული ფონდის შემადგენელ ნაწილად.

რათქმა უნდა, გონივრული იყო ის, რომ ფონდების ჩამოწერა, მათი განთავსების უფლება მოძველებული, არაპროფილური, ზედმეტი ეგზემპლარებისაგან, სავსებით გეგმიურად ხდებოდა. ეს პროცესი წინასწარ იყო გათვალისწინებული და სათანადო ინსტრუქციებით წარმოებდა, რაც საკანონმდებლო აქტებით იყო განსაზღვრული და არეგულირებდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების ორგანიზაციას. ზედამხედველობა წიგნადი ფონდების დაცვაზე მკაცრად იყო რეგლამენტირებული. ყველა შეუსაბამობა, უნესრიგობა, უპასუხისმგებლობა, დაუდევრობა მკაცრად ისჯებოდა. ბიბლიოთეკარები და მათი ხელმძღვანელები ყოველ წიგნზე იყვნენ პასუხისმგებელნი. ყოველივე ეს იწვევდა არა მარტო ფონდების საიმედოდ დაცვას, არამედ მათ ზუსტ აღრიცხვას, სტატისტიკურ მეთვალყურეობას, დანაკლისის ძიებასა და ანაზღაურებას. ცხადია, იყო დარღვევები, შეუსაბამობანი, არაპროფილური მიდგომა, დამნაშავებლური ფაქტები, მაგრამ ყოველივე ამაზე რეაგირება, ასე თუ ისე, არეგულირებდა ფონდების დაცვისა და მოძრაობის პროცესებს, და მთლიანობაში გარკვეულ წესრიგს უწყობდა ხელს.

დღეს სავსებით სხვაგვარი სურათი გვაქვს – მთავარი ისაა, რომ არსებითად განსხვავებულია დამოკიდებულება საბიბლიოთეკო ფონდების მიმართ. იდეოლოგიურმა ცვლილებებმა გამოიწვია წიგნების ხელალებით უგულვებელყოფა, მათ მიმართ განურჩეველი მიდგომა, უსულგულო დამოკიდებულება. დაგვაინწყდა, რომ წიგნი არის არა მარტო ინტელექტუალურ-შემეცნებითი ღირებულება, არამედ მატერიალური ფასეულობა, სახალხო საკუთრება, და მისდამი განუყოფელი

მიდგომა ბოროტებაა, ზოგ შემთხვევაში – დანაშაული. ყოველი გამოცემა წიგნის ისტორიის ნაწილია, რაც კულტურის, და თავისთავად ისტორიის კუთვნილებაა. არავინ იცის, როდის და როგორ სამსახურს გაუწევს ის მეცნიერულ აზროვნებასა თუ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამიტომაც დიდი სკრუპულოზურობით, დაკვირვებით, საქმის ღრმა ცოდნით, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ წიგნადი ფონდების გადარჩევისა და დაცვის საქმეს.

დღეს სრულიად სხვაგვარი სურათი გვაქვს – სხვაგვარია ფონდების სახეობანი, მათზე მოთხოვნილება, რაც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ ყოველივე ამას პროფესიული მიდგომა ესაჭიროება, გეგმაზომიერი მართვა და მეთოდური დამუშავება. დღეს სწორედ ესაა გადასწყვეტი პრობლემა საბიბლიოთეკო ფონდებთან დაკავშირებით და არა არსებული საცავების გაფართოება-გაზრდა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ესეც დიდ ყურადღებასა და ზრუნვას მოითხოვს. რაც შეეხება ფონდების ორგანიზაციას, ამ თვალსაზრისით კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მათი ჩამოწერისა და სარგებლობის დარეგულირების სისტემის შექმნა. საჯარო ბიბლიოთეკების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას ამჟამად თავის გადარჩენაც წარმოადგენს. ერთი მეორის მიყოლებით უამრავი ბიბლიოთეკა დაიხურა, გაუქმებულია ან არ მოქმედებს, საერთოდ, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ზრუნვა და მეთვალყურეობა ბიბლიოთეკებზე, მათ წიგნად ფონდებზე, რომლებიც საერთო-სახალხო ქონებას წარმოადგენს. არ არსებობს რაიმე სისტემა, მოქმედი დოკუმენტი, რომელიც მოაწესრიგებს გაუქმებული თუ შეერთებული ბიბლიოთეკების წიგნად ფონდებს, თუ რაიმე არსებობს, საბიბლიოთეკო კანონის ჩათვლით, არავითარი ყურადღება მათ არ ეთმობა და, ამდენად, არც რაიმე ძალა გააჩნია.

ფაქტობრივად, მასიურად მოხდა წიგნადი ფონდების განადგურება. არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს ამ თვალსაზრისით, არავითარი აღრიცხვა. წარმოდგენა არა გვაქვს, რა გექონდა და რა დაგვრჩა მთლიანობაში. ფონდები ნადგურდებოდა ზოგან არასწორად ორგანიზებული ჩამოწერით, ზოგან, უბრალოდ, „თავიდან მოშორებით“, ზოგან კიდევ – მათი დასაწყობებით, როგორც ეს ბევრი სოფლისა თუ დაბა-ქალაქის პირობებში მოხდა, როცა ბიბლიოთეკების წიგნები სკოლის ბიბლიოთეკებს, რომლებიც თავად იმყოფებიან შეჭირვებულ მიდგომარეობაში, მათი უმრავლესობა ვერ არის უზ-



რუნველყოფილი პროფესიულად მომზადებული სპეციალისტებით, რომ შეძლონ ამ ფონდების შესაბამისად გამოყენება. ამგვარად საქართველოში ასეულ ათასობით საბიბლიოთეკო წიგნი აირდაირია, გაპარტახდა, დაკარგა თავისი მკითხველი და გამოუყენებელ ნაკადად იქცა.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმ ნიჰილისტური დამოკიდებულებით, რაც ხელისუფლების მმართველ ორგანოებში არსებობს ბიბლიოთეკების მიმართ. ამან კიდევ ხელი შეუწყო მკითხველთა არაადექვატური დამოკიდებულებების გაჩენას წიგნადი მემკვიდრეობის მიმართ.

უდავოა, რომ ძველი, არააქტუალური ლიტერატურა, სავსებით სამართლიანად, თავიდანაა მოსაცილებელი, მაგრამ ერთი უნდა გვახსოვდეს – „ძველი“ და „მოძველებული“ იდენტური ცნებები არაა. ძნელი გასარკვევია, რომელი წიგნი რა სტატუსს ატარებს, ვინ განსაზღვრავს, რომელი წიგნი რა ფასეულობას შეიცავს, რომელია ძველი, მაგრამ სავსებით გამოსადეგი და რომელია მოძველებული და მოსაშორებელი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებიდან; ვინაა პასუხისმგებელი მათ გადაყრა-განადგურებაზე. ეს ურთულესი საქმეა და ამას დიდი გულდასმით შეესწავლა ესაჭიროება. აქ მხოლოდ მაღალპროფესიული გამოცდილების სპეციალისტების მოღვაწეობაა დასაშვები და არა ყველა ხელმძღვანელის განუკითხავი მოქმედება.

ბიბლიოთეკებში ახლაც მრავალი წიგნია ისეთი, რომელიც შეიძლება მართლაც „ამძიმებს“ თაროებს, მაგრამ არ არსებობს სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბებული სისტემა – ბიბლიოთეკარებს არ აძლევენ ნებას მათი ჩამონერისა, ფორმალურად ამ საქმეს ეკონომიკის სამინისტრო განაგებს, რომლის ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ ჩამონერას ექვემდებარე მრავალი წიგნი, გარდა წიგნებისაო.

განა ეს პარადოქსი არ არის? – ერთი მხრივ, ამას აცხადებს ხელისუფლება, მეორე მხრივ – განუკითხავად ნადგურდება წიგნები თვით ხელისუფლების თვალწინ. ამ მიმართულებების სრული განუკითხაობაა, რაც, საერთოდ, ყოველი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი იყო ბიბლიოთეკების მიმართ.

ისმის კითხვა: რა უნდა ვიღონოთ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ, ხელი შევუწყოთ საბიბლიოთეკო საქმის საერთო გაჯანსაღებას; ყველა დონეზე უნდა მივანვიდინოთ ჩვენი ხმა, გავახშიანოთ ჩვენი პროფესიული მოთხოვნები და პრობლემები, რამდენადაც შეიძლება თამამად ავიმალლოთ ხმა, წამოვაყენოთ წინადადებები. პარალელურად საჭიროა ვიზრუნოთ კონკრეტულ ბიბლიოთეკაზე, რომელსაც ვემსახურებით. ასეთ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის, თუ რა პირობებში იმყოფება ეს ბიბლიოთეკა და მისი თანამშრომლები, როგორ ბიბლიოთეკასთან გვაქვს

საქმე, რამდენად მონესრიგებულია აქ ფონდების ჯამობრივი თუ ინდივიდუალური აღრიცხვა, რაც, ფაქტობრივად, თითქმის უმეტეს ბიბლიოთეკაში მოუნესრიგებელია. საყურადღებოა ის, თუ როგორ ხდება მოძველებული თუ გაცვეთილი ლიტერატურის ჩამონერა, ტრადიციული თუ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით, როგორია ბიბლიოთეკის პერსონალის პროფესიული დონე, როგორია ხელმძღვანელობის ხარისხი, მეთოდურად რამდენად სწორად წარმოებს პროცესები, როგორია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამდენად ერკვევიან ბიბლიოთეკარები მკითხველთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებში, რამდენად ზუსტად არის გათვალისწინებული არსებული პირობები და ა. შ.

ყოველივე ამის გათვალისწინება საშუალებას მოგვცემს, კონკრეტულად განვსაზღვროთ ჩვენი სტრატეგიული თუ ოპერატიული გეგმები, გავარკვიოთ, რაც არ გვაქვს და გვჭირდება და რაც გვაქვს და გაუმჯობესებას საჭიროებს.

დაუყოვნებლივ უნდა მონესრიგდეს ფონდების აღრიცხვა: შედგეს სრულყოფილი დოკუმენტაცია. თვით მუშაობის პროცესი განსაზღვრავს, შემდეგში რა უნდა გაკეთდეს – ფონდების სახეებისა და ტიპების მიხედვით დაყოფა, მათი შესწავლა, დახარისხება, შემონახვა, განთავსება და განლაგება, ჩამოსაწერი წიგნების ცალკე გამოყოფა, შეკეთება-რესტავრაცია და ა. შ. ამ შემთხვევაში გამოიყენება როგორც ტრადიციული, ისე ახალი ტექნოლოგიები – იმის მიხედვით, რომელ ბიბლიოთეკას როგორი პირობები აქვს.

თუ არ გავააქტიურეთ კადრებთან მუშაობა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქმე წინ ვერ წავა, პირიქით – ბევრი რამ დაზიანდება და საქმე დაზარალდება კიდევ. ამიტომაც გამუდმებით უნდა ვიზრუნოთ პროფესიული დონის გაუმჯობესებაზე, ცოდნის შექმნასა და გაღრმავებაზე. ჩვენს პირობებში საამისოდ, სამსახურად, ძირითადად ორი გზა არსებობს: ერთი – კვალიფიკაციის ამაღლება სათანადო კურსების მეშვეობით; მეორე – მეთოდური სამსახურის აქტიურად გამოყენება. არის ერთიც – თავის თავზე სისტემატური მუშაობა.

საბიბლიოთეკო სისტემის სრული დაშლის პირობებში ძნელია ვილაპარაკოთ, რა უნდა განხორციელდეს და როგორია პერსპექტივები. ამისათვის ფრიად მნიშვნელოვანია, არსებობდეს ზუსტად განსაზღვრული საბიბლიოთეკო კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ბიბლიოთეკის სტატუსს. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ეს კანონი დიდი ხანია მოითხოვს შესწორებებსა და დამატებებს. ეს დაუყოვნებლივ გადასაწყვეტი საქმეა, თუ გვსურს საქართველოში კვლავ აღორძინდეს საბიბლიოთეკო სისტემა.



## საბიბლიოთეკო საქმის ისტორია

## გურამ თაყნიაშვილი

# პარტიული პოლიტიკის შედეგები საბიბლიოთეკო საქმეში (გამოკვლევა)

ბიბლიოთეკები თავიანთი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პერიოდში წიგნსაცავის, კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელობითა და საინფორმაციო ფუნქციებს ასრულებენ, ითვალისწინებენ რა ადგილობრივ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობის სპეციფიკას. ბიბლიოთეკების სტატუსი, მისია და მიზნები იცვლებოდა იმისდამხედვით, თუ როგორი იყო მათდამი სახელმწიფოს დამოკიდებულება, როგორი საბიბლიოთეკო პოლიტიკა ხორციელდებოდა ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში. ნებისმიერი ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას გააჩნია მასებზე, ხალხის პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე გარკვეული ზეგავლენა. ფლობენ რა ერის დიდ სულიერ საგანძურს, ბიბლიოთეკები თავიანთი მოქმედების მრავალფეროვნებით უზრუნველყოფენ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას; ბიბლიოთეკების მუშაობა ხასიათდება შემოქმედებითი, თავისუფალი, ობიექტური მიდგომებითა და მკითხველებთან ურთიერთობის ისეთი ფორმებით, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მათ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ასეთი მრავალმხრივი საქმიანობა ბიბლიოთეკებისა განპირობებულია, ერთი მხრივ, საბიბლიოთეკო ფონდების რთული სტრუქტურით და, მეორე მხრივ, მკითხველთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების არსებობით. ამ ორი მხარის, ორი მიმართულების ორგანული სინთეზი ბევრწილად განაპირობებს ბიბლიოთეკების მუშაობის ხარისხს, მათი მოქმედების ეფექტურობას. ამ თვალსაზრისით, ბიბლიოთეკების საქმიანობისადმი ყოველგვარი ტენდენციური მიდგომა, მათზე დომინირებული კლასის, პარტიის პოლიტიკის თავზე მოხვევა უარყოფითად აისახება ბიბლიოთეკების მუშაობაზე. ამის მკაფიო გამოხატულებაა ბიბლიოთეკების მუშაობაზე კომუნისტური იდეოლოგიის, პარტიული პოლიტიკის ზეგავლენა. როგორც ცნობილია, კომუნისტური მმართველობის შვიდი ათწლეულის მანძილზე, ბიბლიოთეკები მიჩნეული იყვნენ პარტიის ძირითადი ხაზის – კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებლად. ეს ფუნქცია ძირითა-

დად ევალებოდა მასობრივ (ამაჟამად საჯარო) ბიბლიოთეკებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ტერიტორიული პრინციპით აგებული მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი პირდაპირ ახორციელებდა კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ ამოცანას – მასების პოლიტიკური განათლება, რაც თავისთავად გულისხმობდა პარტიისადმი ერთგულებას.

პარტიული დიქტატის გატარება მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობაზე ყველაზე გამოკვეთილი ფორმით წარმოგვიდგება ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ განათლებას სათავე დაუდო კ. მარქსმა, ხოლო შემდეგ იგი მეცნიერულ სიმაღლეზე აიყვანა ვ. ი. ლენინმა. ამ უკანასკნელს ვერ წარმოედგინა იმ დროისათვის არსებული ქონ-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები პარტიული პოლიტიკის გარეშე. ამის შესახებ იგი პირდაპირ აცხადებდა: „საგანმანათლებლო მუშაობის მთელ ხაზზე ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ განათლების აპოლიტიკურობის ძველ თვალსაზრისზე, არ შეგვიძლია საგანმანათლებლო მუშაობის დაყენება პოლიტიკასთან კავშირის გარეშე“ (1,96), პარტიული პოლიტიკის გატარება სკოლებსა და სკოლიგარეშე დაწესებულებების მუშაობაზე განუხრელად იზრდებოდა და სულ უფრო სრულყოფილად მოიცავდა სახალხო განათლების დარგს. პარტიული ორგანიზაციებისათვის ლიტერატურისა და საინფორმაციო საშუალებების, რადიოსა და პრესის დაქვემდებარების საკითხებზე უფრო ფართოდ დაინერა და გამოიკვეთა ვ. ი. ლენინის ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, რომელიც მან 1905 წელს გამოაქვეყნა ჟურნალში „Новая жизнь“, №12. ამ ნერილში ლენინმა წამოაყენა წინადადება, რომ ლიტერატორები უსათუოდ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შევიდნენ, ისევე, როგორც პარტიის პოლიტიკას უნდა დაექვემდებაროს გამომცემლობები და ბიბლიოთეკები. ამავე ნერილში ვ. ი. ლენინმა მკვეთრად დაუკავშირა ლიტერატურული საქმიანობა პროლეტარიატის


დიქტატურას. „ძირს უპარტიო ლიტერატორები“ – ამ ლოზუნგით კომუნისტურმა პარტიამ ლიტერატურული საქმიანობა გააყენა პოლიტიკური სანამლაგით. პარტიული ლიტერატურის პრინციპი სწორედ ამ პერიოდიდან – მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს; შემდეგ იგი ვითარდება პარტიულ მოღვაწეთა ნაშრომებში, რკპ(ბ) ცკ-ს პლენუმების დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში. პარტიულობის პრინციპი გახდა რუსეთისა და შემდგომ სსრ კავშირის საბიბლიოთეკო ქსელისათვის ფუძემდებლურ პრინციპად, რითაც ხელმძღვანელობდნენ საბიბლიოთეკო საქმის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები. თანამედროვე ეტაპზე ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს, თვალი გადავავლოთ საბიბლიოთეკო მუშაობას კომუნისტური იდეოლოგიის პირობებში, გავაკეთოთ დასკვნები და გავანალიზოთ ის გარემოება, რომელშიც უხდებოდა მუშაობა საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელს შვიდი ათეული წლის მანძილზე.

ბიბლიოთეკები ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პოლიტიკური განათლების საქმეში. 1921 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო (მთავარ პოლიტიგანი), სადაც ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო განყოფილება. მის მთავარ ამოცანას შეადგენდა ბიბლიოთეკების მუშაობაზე კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის გაძლიერება. ამ ამოცანის შესასრულებლად მთავრობა არ იშურებდა ეკონომიკურ საშუალებებს. ბიბლიოთეკები იხსნებოდა ყოველ დასახლებულ პუნქტში, 1930-იანი წლებიდან საქართველოს ყველა რაიონულ ცენტრში გაიხსნა რაიონული ბიბლიოთეკები, რომელთა ბაზაზე 1970-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზებული ქსელი. ბიბლიოთეკების დაკომპლექტების პოლიტიკა განისაზღვრებოდა უპირატესად პოლიტიკური ლიტერატურის შევსების ნიშნით. სოფლად პოლიტიკური განათლების საკითხებს სათანადო ყურადღება დაუთმო საქართველოს კპ მესამე ყრილობამ 1924 წელს; ყრილობის გადაწყვეტილებებში აღნიშნული იყო: „სოფლად პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის დასაყრდენ პუნქტებად უნდა მივიჩნიოთ წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები და ქობ-სამკითხველოები, სწორად დაყენებული ქობ-სამკითხველო წარმოადგენს სოფლად კულტურულ ცხოვრებაზე პოლიტიკური ზეგავლენის სასიცოცხლო ცენტრს“. (2, 113) ქობ-სამკითხველოების შენობა-ნაგებობებზე

გაჩნდა წარწერა: „პოლიტიკური განათლების სამკითხველო“.


ბიბლიოთეკებზე პარტიული ზეგავლენის საკითხი ჯერ კიდევ 1924 წლიდან გახდა მწვავე დისკუსიის საგანი. ამ დროისათვის საბიბლიოთეკო დარგში მომუშავე ბევრი ძველი, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტისათვის, მიუღებელი იყო ბიბლიოთეკების მუშაობის წარმართვა მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით. მათი აზრით, ბიბლიოთეკებს უნდა დაეცვათ ობიექტივიზმის პრინციპი, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკარი არ უნდა ჩარეულიყო წიგნების შერჩევისა და კითხვის რეგულირების საქმეში. იმ პერიოდისათვის ცნობილი საბიბლიოთეკო მოღვაწე ლ. ბ. ხავეინა წერდა: პოლიტიკის გავლენა ბიბლიოთეკის მუშაობას აძლევს ტენდენციურ და ცალმხრივ ხასიათს, აქცევს მას პარტიული მუშაობის იარაღად, რომელიც უცხო უნდა იყოს საჯარო ბიბლიოთეკისათვის, ლ. ბ. ხავეინას ასეთ შეხედულებებს მკვეთრად აკრიტიკებდა ნ. კ. კრიცსკაია. მისი ნაშრომების შესახებ იგი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ისინი გამსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლებისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებით, მათ ახასიათებთ კადეტური გადახრა“ (3,103). 1930-1940-იანი წლებში ბიბლიოთეკების მუშაობაზე პარტიული პოლიტიკის გატარება გამოკვეთილი ფორმით მიმდინარეობდა ძირითადად მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობაზე, თუმცა ამ მიმართულებას გვერდს ვერ აუვლიდნენ საქართველოში მოქმედი სამეცნიერო ბიბლიოთეკები, რომელთა რიცხვი ამ დროისათვის 100 აჭარბებდა. ამ დროიდან მოყოლებული, იდეოლოგიური ბრძოლა იღებს შეუქცევად ხასიათს. პარტიულობის პრინციპმა შეაღწია სოფლად მომუშავე პატარა ბიბლიოთეკების საქმიანობაშიც. საბიბლიოთეკო ქსელი იმართებოდა რეგლამენტირებული აქტებითა და დებულებებით, ვერტიკალური მმართველობის სახით. ბიბლიოთეკების მუშაობის რაოდენობითი მაჩვენებლები წინასწარ იგეგმებოდა. გეგმები, უთოდ უნდა შესრულებულიყო; ასეთმა მიდგომებმა ბიბლიოთეკებში დანერგა ფორმალური შინაარსის განსაზღვრავდა პოლიტიკური მოძღვრება, პარტიული ინტერესი.

საბიბლიოთეკო საქმის შემობრუნების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებდნენ ქართველი სპეციალისტები ჯერ კიდევ 1920-იანი წლებში: „ჩვენს წინაშე დასმულია საბიბლიოთეკო საქმის სრული ტრანსფორმაციის



საკითხი, რისთვისაც საჭიროა ამ სფეროში სხვა ქვეყნების საქმიანობის ყველა შესწავლა და ახალი საბიბლიოთეკო მეთოდოლოგიის შეგუება ჩვენს პირობებთან“ (4,8).

პარტიული პოლიტიკის გატარება აუცილებელი იყო არა მარტო მკითხველებთან მუშაობაში, არამედ საბიბლიოთეკო საქმიანობის პროცესსა და მიმართულებებში. საბიბლიოთეკო ფონდების სისტემატიზაციაში პარტიულობის პრინციპი აისახა იმ დროსათვის მოქმედ საკლასიფიკაციო სისტემებში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების სახით. როგორც ცნობილია, რუსმა ბიბლიოთეკათმცოდნემ ნ. ტროპოკსკიმ მე-3 განყოფილების სათავეში გამოიტანა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. აღნიშნა რა იგი ინდექსით 3K. კომუნისტური პარტიის შესახებ არსებული ლიტერატურა აღინიშნა ინდექსით 3KII და ა. შ. სისტემატური კატალოგის თითოეულ განყოფილებაში თავდაპირველად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პარტიული ლიტერატურის აღწერილობანი.



მკითხველთან მუშაობის ინდივიდუალური, მასობრივი და სხვა სახის ფორმები შეფერილი იყო პოლიტიკური მიდგომებითა და პრინციპებით. ასეთ პირობებში გამორიცხული იყო ალტერნატიული შემოქმედებითი ხასიათის ფორმები, რაც თავისთავად ზღუდავდა ბიბლიოთეკარის შემოქმედებით საქმიანობას.

მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობაში პარტიული პოლიტიკის გატარების მძლავრი იარაღი იყო ცენზურა, რომლის საშუალებითაც მმართველი ორგანოები ოპერატიულად აკონტროლებდნენ ბიბლიოთეკებში ბეჭდვით ნაწარმოებების შეტანის პროცესს და ასევე ოპერატიულად უზრუნველყოფდნენ არასასურველ გამოცემების ამოღებას. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო სისტემატურად აკონტროლებდა ბიბლიოთეკებში ბეჭდვითი ნაწარმოებების შეტანის პროცესს და ასევე ოპერატიულად უზრუნველყოფდა არასასურველი გამოცემების ამოღებას. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბე-

ჭდვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო სისტემატურად აკონტროლებდა მთავლიტის (დაარსდა 1922 წელს) ბრძანებების შესრულების საბიბლიოთეკო ქსელიდან არასასურველი და პოლიტიკურად მავნე გამოცემების ამოღების შესახებ. პოლიტიკანათლების მთავარი სამმართველო სისტემატურად აქვეყნებდა ამოსაღები წიგნებისა და პერიოდული გამოცემების სიებს, რომლებიც უთუოდ უნდა განადგურებულიყო ან გადასცემოდა დიდ ბიბლიოთეკებს ე. წ. სპეცსაცავებში დასაცავად. 1930 წელს მთავარპოლიტიკანათლების: საერთო ლიტერატურიდან ამოსაღები წიგნების სიაში მოყვა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, კ. ფოცხვერაშვილის მიერ შექმნილი ქართული ეროვნული ჰიმნი „დიდება“; ნ. ყორდანიას, ა. ჩხენკელის, გ. ჭიჭინაძის, აპ. წულაძის, პ. სურგულაძის, ნ. ხომერიკის, გრ. ვეშაპელის და სხვ. ავტორთა ნაწარმოებები,

აგრეთვე ქ. ბ. ყ. გ. საზოგადოების 1911-1920 წ. წ. ანგარიშები. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ და სხვ. პერიოდული გამოცემებიდან ამოღებას ექვემდებარებოდა გაზეთები: „პირველი ნაბიჯი“, „ალიონი“, „სახალხო საქმე“, „ჩვენი ქვეყანა“, „სიმართლის გზა“ და სხვ.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები ხშირად გამხდარა დევნის საგანი. თავის დროზე ცენზურამ აკრძალა ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის და სხვა ავტორთა ცალკეული თხზულებების გამოქვეყნება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1913 წელს ქუთაისში დაბეჭდილი ა. წერეთლის თხზულებათა მე-2 ტომიდან ცენზურამ ამოჭრა მისი პოემა „ვორონცოვი“, როგორც „მეტისმეტად პატრიოტული“ ნაწარმოებები. ეს პოემა შემდეგ გამოქვეყნდა ა. წერეთლის თხზულებათა სხვა კრებულში.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი (დაარსდა 1848 წელს) და მთავლიტი 1920-1990-იან წლებამდე სისტემატურად აქვეყნებდა ნაკრები სახით სიებს იმ გამოცემებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა ბიბლიოთეკების სპეცსაცავებს. მთავარპოლიტიკანის მიერ გამოქვეყნებ-

ული ინსტრუქციის შესავალ წერილში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „ბიბლიოთეკაში წიგნების სიმცირესთან ერთად საკმაოდ მოიპოვება პოლიტიკურად მავნე და იდიოლოგიურად მიუღებელი ლიტერატურა, ჩვენ შევადგინეთ სია ანტისაბჭოთა და ანტიმხატვრული წიგნებისა, რომლებიც ამრუდებს ჩვენი ბიბლიოთეკების იდიოლოგიურ და კლასობრივ ხაზს და კონტრევოლუციის ნისკვილის ბორბლებზე ასხამს წყალს“ (5,3).

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ბიბლიოთეკებში წერტილი დაესვა პარტიული პოლიტიკის პრინციპსა და პლატფორმას. 1990 წლის ბექტვით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარმა სამმართველომ სპეციალური ბრძანებით გაანადგურა სსრკ-ს მთავარი ლიტერატურული სამმართველოს (Главлит) მიერ დამტკიცებული ინსტრუქციები, ბოლო რედაქციით 1981, 1983 წ. წ. გამოცემული. მთავლიტის იმავე პერიოდის სპეციალური ბრძანებით, ბიბლიოთეკების სპეცფონდებიდან ყველა წიგნი გადაიტანეს საერთო ფონდებში. აკრძალულ წიგნებს უწოდებდნენ „ექვსკუთხიან“ ლიტერატურას. ყველა მათგანზე იყო ექვსკუთხიანი ბექტი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში დაცულია მთავლიტის მიერ ამოღებული წიგნების სიები, ცალკეული ავტორების წიგნებიდან ამოჭრილი ფურცლები. ამოღებული წიგნების შესახებ დოკუმენტები გადაეცემოდა სახელგამის სპეციალურ განყოფილებას, პროკურატურის, საქ. ცკ-ს სპეციალურ განყოფილებებს და სხვ. დაწესებულებებს. ასეთი დოკუმენტების ზერელე დათვალიერება ცხადყოფს, თუ როგორი თანმიმდევრობით, სიმკაცრითა და კონტროლის როგორი პირობებით აწარმოებდა პარტია და ხელისუფლება ბიბლიოთეკებში პარტიული იდეოლოგიის პროპაგანდისა და აგიტაციის საქმისადმი ზედამხედველობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში ძირითადი მონაპოვრად უნდა მივიჩინოთ ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკები გათავისუფლდნენ პარტიული ზეგავლენისაგან; პარტიული პოლიტიკისაგან, იმ ტენდენციური ატმოსფეროსა და ფორმალისაგან, რომელშიც უხდებოდა მუშაობა მათ შვიდი ათეული წლის მანძილზე. ბიბლიოთეკების

მუშაობაში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი მკვეთრად განსაზღვრა 1996 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები მოქმედებენ პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიულობის გარემოში. ბიბლიოთეკები თანაბრად ემსახურებიან სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მოქალაქეებს, ბიბლიოთეკები, რომლებიც ფინანსდებიან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ და საგანმანათლებლო პროცესებში, თუმცა ზედმინეწვით იცავენ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კურსს.



ბიბლიოთეკებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ცენზურის დაუშვებლობის შესახებ სპეციალურად მიუთითებს საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიღებული კანონები: „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა

საშუალებების შესახებ“ (1991), „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ (2004), „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ (2011), საქართველოს კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომელთა განხორციელება საბოლოოდ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკისადმი ყოველგვარი პარტიული მიდგომების აღმოფხვრას; ბიბლიოთეკების მუშაობაში პოლიტიკური ხაზის გატარება ინვესსამ დაწესებულებათა პოლიტიზირებას, რომლის მავნე შედეგები ნათლად დაადასტურა კომუნისტური მმართველობის სამოცდაათწლიანმა პრაქტიკამ.

ლიტერატურა:

1. ლენინი და საბიბლიოთეკო საქმე. – თბ., 1973.
2. КП Грузии в резолюциях и решениях съездов, конференции и пленумов ЦК. т.1 Тб. – 1976.
3. Народное образование: 1918, – №415.
4. ყურნალი „წიგნის მეგობარი“. – თბ., 1925, №1-2-118-258 გვ.
5. ქობ-სამკითხველოებიდან და ყველა ტიპის მასიურ, საოლქო, სამაზრო და რაიონული ბიბლიოთეკებიდან გასანმენდი წიგნების სია. – თბ., 1930

## საბიბლიოთეკო სისტემა

### საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის ახლებურად ჩამოყალიბებისათვის

„კონცეფცია“ ლათინურიდან ვრცელდება და „გაგებას“, „სისტემას“ ნიშნავს (ქსე: ტ. 5. – გვ. 654). ეს ტერმინი მრავალგვარი აზრით გამოიყენება (განმარტება, წესების ჩამოყალიბება, ძირითადი თვალსაზრისი, სისტემური ანალიზი, სახელმძღვანელო იდეა და სხვ.). ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ საბიბლიოთეკო სისტემის არსებობისათვის საჭირო წესებისა და მიმართულებების განსაზღვრას, რაც საბიბლიოთეკო საქმეს უნდა დაედოს საფუძვლად.

მას შემდეგ, რაც ჩვენში მანამდე არსებული სისტემა დაირღვა, მწვავედ დადგა ახალი კონცეფციის შექმნის საჭიროება, თუმცა აქამდე ამისთვის არაფერი გაკეთებულა. ამის გარეშე კი ძნელია არსებული მდგომარეობის ანალიზი, ვითარების შეფასება და გარდაქმნის ორგანიზება. დროება მოითხოვს ახალ საბიბლიოთეკო სისტემის შექმნას, რის გარეშე რაიმე არსებობის გაკეთება შეუძლებელია.

ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ (2006, №3. – გვ. 4–5) მოწინავე სტატიაში – „საბიბლიოთეკო საქმის კონცეფციისათვის“ – დააყენა ეს საკითხი დამოუწოდებელი სპეციალისტებს, წარმოედგინათ საბიბლიოთეკო კონცეფციის პროექტები. ამას გამოხმაურება არ მოჰყოლია და, ამდენად, ეს მოწოდება დღესაც ძალაში რჩება. ჟურნალს გადაწყვეტილი აქვს, ხელი შეუწყოს ახალი საბიბლიოთეკო კონცეფციის შექმნას. ამ მიზნით იბეჭდება ერთ-ერთი პირველი პროექტი, რის შესახებაც, იმედი გვაქვს, ჩვენი სპეციალისტები თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ.

### საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის კონცეფცია (პროექტი)

კონცეფცია იქმნება საქართველოს საბიბლიოთეკო საქმისა და ბიბლიოთეკის პროცესების ახლებურად რეგულირებისათვის. ის წარმოადგენს საბიბლიოთეკო საქმის მშენებლობისა და მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების სისტემის გარდაქმნის, განვითარებისა და სრულყოფის ორგანიზაციულ საფუძველს, ადგენს პრინციპებს, განსაზღვრავს მოქმედების მიმართულებებს, აზუსტებს ბიბლიოთეკის ტიპებს, სტატუსსა და ფუნქციებს.

### საბიბლიოთეკო სისტემა

საბიბლიოთეკო სისტემა არის სხვადასხვა დონის, ტიპის და ქსელის ბიბლიოთეკების ერთობლიობა, რომელიც ფუნქციონირებს საკანონმდებლო აქტებისა და მეთოდური კანონზომიერებათა გათვალისწინებით. სისტემას მხედველობაში აქვს როგორც მთელი მოსახლეობის, ისე სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, მეცნიერ მოღვაწეთა და ბავშვთა მომსახურება.

სისტემაში შემავალი სახელმწიფო ბიბლიოთეკები ერთმანეთისაგან სხვადასხვა დანიშნულებითა და დონით განსხვავდება, რაც მათ კატეგორიებად დაყოფაში გამოიხატება, კატეგორიები იქმნება მკითხველთა როდენობის, ბიბლიოთეკის მოცულობის, ფონდების ოდენობის, ხარისხობრივი მაჩვენებლების, შრომითი პროცესების, სტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით. კრიტერიუმებს განსაზღვრავს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად. ბიბლიოთეკებისათვის კატეგორიების მინიჭებას ახდენს უმაღლესი სახელმწიფო ორგანო.

კატეგორიების მიხედვით ხდება საბიუჯეტო სახსრების, ბიბლიოთეკის სტრუქტურის, საშტატო განრიგებისა და სახელფასო განაკვეთების დადგენა.


თანამედროვე ბიბლიოთეკა წარმოადგენს როგორც საბიბლიოთეკო დოკუმენტების, ისე საინფორმაციო რესურსების ორგანიზებულად თავმოყრისა და გავრცელების ორგანოს, ახდენს მომხმარებელთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესწავლას, ითვალისწინებს სამომსახურეო ტერიტორიის ინფრასტრუქტურას, ხელს უწყობს მოსახლეობაში წიგნიერი გარემოს შექმნას.

ბიბლიოთეკას მოეთხოვება საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთთანამშრომლობა, მომსახურების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკები თავიანთ საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით წარმართავენ: კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-კვლევითი, სამეურნეო-საწარმოო, საინფორმაციო და სხვა.

### საბიბლიოთეკო ტიპები

საბიბლიოთეკო საქმის სრულყოფილად განსაზღვრისა და ორგანიზაციისათვის შემოღებულია მთელი სისტემის ბიბლიოთეკების ტი-



პეზად დაყოფა. ტიპიზაცია ხდება ქვეყნად შემოღებული სქემის მიხედვით, რომელიც ჩამოყალიბებულია პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტში – „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ტიპებად დაჯგუფება ხდება ბიბლიოთეკების დანიშნულებისა და ამოცანების გათვალისწინებით, აგრეთვე ასაკობრივი ნიშნით.

### საზოგადოებრივი საქმიანობის ძირითადი ფუნქციები

საბიბლიოთეკო ქსელი შედგება დაქვემდებარება-დამფუძნებლობითი პრინციპით, იმის მიხედვით, თუ რომელ ორგანოს ან უწყებას განეკუთვნება ის. მისი აგება ხდება ტერიტორიულ-უწყებრივი პრინციპით. ქსელების 3 ჯგუფი არსებობს:

1. ძირითადი სახელმწიფო; 2. სახელმწიფო-უწყებრივი; 3. საზოგადოებრივი.

ძირითადი სახელმწიფო ქსელის ბიბლიოთეკები ემსახურებიან მოსახლეობის ფართო ფენებს საჯარო ბიბლიოთეკების მეშვეობით.

სახელმწიფო-უწყებრივი ბიბლიოთეკები რომელიმე უწყების დაქვემდებარებაშია და ძირითადად ამ უწყების (დანესებულების) მუშაკებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს ემსახურება (სპეციალისტებს, მოსწავლე ახალგაზრდობას და სხვ.), აგრეთვე მოსწავლეებს სკოლების ფარგლებში და სკოლისგარეშე მომსახურების დანესებულებებში.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების ქსელს ქმნიან არასახელმწიფო ორგანიზაცია – დანესებულებები – დროებითი გაერთიანებები, პარტიები, პროფკავშირები, კომერციული დანესებულებები, კერძო პირები და სხვ.

დასაშვებია სხვადასხვა ქსელებისა და უწყებების ბიბლიოთეკების ინტეგრაცია.

### მოსახლეობის საზოგადოებრივი-ინფორმაციული მომსახურება

მოსახლეობის საბიბლიოთეკო-ინფორმაციული მომსახურება ქალაქად თუ სოფლად წარმოებს როგორც საერთო სახელმწიფო, ისე რეგიონალური და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მიერ სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკების მეშვეობით.

სამეცნიერო ბიბლიოთეკები ემსახურებიან უმთავრესად სპეციალისტებს – მეცნიერ-მუშაკებს, სტუდენტებს, სხვადასხვა წარმოება-დანესებულების თანამშრომლებს.

საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებით სარგებლობა შეუძლია ყველა მოქალაქეს იქ დადგენილი წესდების შესაბამისად.

მოსახლეობის საბიბლიოთეკო-ინფორმაციული მომსახურება რეგულირდება „საქართველოს კანონით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, რომლის ძალითაც საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მომსახურებით.

### შრომითი პირობები და ზოგადი ფუნქციები

ბიბლიოთეკის შრომის ორგანიზაცია და ფუნქციები დამოკიდებულია იმ წესდებებზე, რომლებიც დამტკიცებულია ხელმძღვანელი ორგანოს მიერ. იმაზე, თუ რამდენად ხარისხიანად და სრულყოფილად სრულდება ის, ამაზე დამოკიდებულია აგრეთვე ბიბლიოთეკის აკრედიტაცია. ბიბლიოთეკა მოვალეა, ზუსტად ასრულებდეს და იცავდეს კანონებს, ითვალისწინებდეს არსებულ პირობებს, ინფრასტრუქტურას, მოსახლეობის რაოდენობას, მომხმარებელთა შემადგენლობას, მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, განვითარების გეგმებსა და რეფორმებს, პერსპექტივებს, ბუნებრივ ფიზიკურ და კლიმატურ პირობებს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს.

ძირითადი ფუნქციების შესრულების მიზნით ბიბლიოთეკა ვალდებულია:

– შეისწავლოს მომხმარებელი;

– შეასრულოს თავისი ტიპოლოგიური დანიშნულება, დაიცვას პრინციპები, გადამწყვიტოს ძირითადი ამოცანები და მიზნები;

– გამოიყენოს და დანერგოს ახალი ტექნოლოგიები;

– სისტემატურად გაანახლოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები, სრულყოფილად მოახდინოს მათი ფორმირება და დაცვა;

– თანმიმდევრულად შექმნას და განახლოს საცნობო-საძიებო საშუალებები, როგორც ტრადიციული, ისე ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით;

– აქტიურად აწარმოოს საქმიანობა ინფორმაციის მოძიებისა და გავრცელების მიზნით;

– ყოველდღიურად ეწეოდეს საბიბლიოთეკო დოკუმენტების პოპულარიზაციასა და პროპაგანდას სათანადოდ მიღებული ფორმებითა და მეთოდებით;

– მუდმივი კავშირი ჰქონდეს საზოგადოებასთან და ეწეოდეს მომხმარებელთა ბიბლიოთეკაში მოზიდვის საქმიანობას;

– ზრუნავდეს მომხმარებლების საჭირო საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული და ინფორმაციული ცოდნით აღჭურვაზე;

– ატარებდეს ღონისძიებებს სპეციალისტთა საკვალიფიკაციო ცოდნის ამაღლებისათვის;

– იცავდეს და უზღვიდეს ბიბლიოთეკის ქონებას;

– მომსახურებისა და მუშაობისათვის ნორმატივებით გათვალისწინებული პირობებს;

– უზრუნველყოფდეს ბიბლიოთეკაში მენეჯმენტის მაღალ დონეს;

– ოპერატიულად ასრულებდეს მკითხველთა მოთხოვნილებას დოკუმენტების გაცემაზე.

ბიბლიოთეკის ფუნქციები გაპირობებულია ბიბლიოთეკის ტიპოლოგიური თავისებურებებით. ფუნქციონირების პრინციპები განსაზღვრულია „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“.

ფუნქციები ხორციელდება მეთოდოლოგიურად და ინსტრუქციულად დადგენილი ოპერაციებითა და პროცესებით.

### საბიბლიოთეკო ფონდების ფორმირება, განლაგება, დაცვა და ორგანიზაცია

საბიბლიოთეკო ფონდები შედგება 2 სახის დოკუმენტებისაგან: 1. ხელნაწერები და ბექედური პროდუქცია თავისი ნაირსახეობებით; 2. აუდიოვიზუალური მასალა და ელექტრომატარებლები. მათი სისტემატიზაცია, დაცვა, სარგებლობა წარმოებს ერთიანი წესებითა და ინსტრუქციებით – არსებული სტანდარტების გათვალისწინებით.

ფონდების ფორმირება, ორგანიზაცია და მართვა გულისხმობს: დაკომპლექტებას, მეორად შერჩევას, დოკუმენტების შეცვლას, შემონახვას, ჩამონერას, გადაადგილებას, რესტავრაციას.

ფონდების განლაგებისას გამოიყენება 2 ძირითადი სისტემა – ლოგიკური და ფორმალური. მხედველობაში მიიღება მოცემული ბიბლიოთეკის თავისებურებები, დაცვის მექანიზმები, რაც შემუშავებულია სტანდარტებით. ფონდის სოციალური დანიშნულება, პასუხისმგებლობა დაცვაზე, მათი კუთვნილება გათვალისწინებულია დოკუმენტში: „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“.

### ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებები

ბიბლიოთეკა თავის ფონდებს სხვადასხვა სახისა და ფორმის კატალოგებში ასახავს ტრადიციული ან ელექტრონული საშუალებებით. დოკუმენტების აღწერილობა, სისტემატიზაცია და კატალოგების აგება ხდება სტანდარტების მიხედვით, არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა იმის მიხედვით, თუ რომელ ტიპს განეკუთვნება ბიბლიოთეკა, როგორია აქ ორგანიზაციის სისტემა, სპეციფიკა. იქმნება ინსტრუქციები, რომელთა გათვალისწინება სავალ-

დებულოა ამ ბიბლიოთეკისათვის.

კატალოგების პარალელურად იქმნება საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატი. მთავარი (ცენტრალური) რეგიონალური ბიბლიოთეკები ქმნიან მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ბიბლიოთეკების შეერთებულ კატალოგებს. დგება ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლითაც ყველა ბიბლიოთეკას შეუძლია ისარგებლოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზონის სამხარეო და მხარეთმცოდნეობითი კატალოგებისა და კარტოთეკების, აგრეთვე ელექტრონული რესურსების შექმნას. სხვადასხვა ტიპის, ქსელისა და მოცულობის ბიბლიოთეკები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, იმგვარ საძიებო საშუალებებს ქმნიან, რომლებიც მათ დანიშნულებასა და ამოცანებს შეესატყვისება. ყველა სახის კატალოგის კომბინირებულად შედგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონული კატალოგით.

ყველა ბიბლიოთეკას აქვს ავტონომიური უფლება, ელექტრონული კატალოგის ამოქმედების შემთხვევაში, გადანყვიტოს, ტრადიციული კატალოგის დაცვის, გამოყენებისა თუ გაუქმების საკითხი.

### ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობანი

ბიბლიოთეკის ძირითადი უფლება-მოვალეობანი მოცემულია „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, აგრეთვე იმ დებულებებსა და წესდებებში, რომლებიც ამა თუ იმ ბიბლიოთეკას განეკუთვნება; ყოველი ბიბლიოთეკა ვალდებულია, თავისი ფონდები ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს, ატარებდეს კითხვის მართვასა და ორგანიზაციას, მიმართავდეს ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ მეთოდებს, მაქსიმალურად იყენებდეს მეთოდოლოგიურად დადგენილ რეკომენდაციებს, ზუსტად ასრულებდეს მომხმარებელთა მოთხოვნებს, შეასწავლიდეს მომხმარებლებს ბიბლიოთეკაში ორიენტაციისა და მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს; ბიბლიოთეკა მოვალეა, შექმნას ისეთი პირობები, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყოველგვარი რესურსი. მას უფლება ენიჭება პასუხი მოითხოვოს მიყენებული ზიანისა თუ ზარალისათვის, დადგენილი წესების გათვალისწინებით.

ბიბლიოთეკებს ენიჭება ავტონომიური უფლება, მათი შეხედულებისამებრ მოახდინონ ფონდების ცვლა, ჩამონერა, კომპლექტაცია, განახორციელონ კონტაქტები სხვა ბიბლიოთეკებსა და დანესებულებებთან ჩვენში თუ უცხოეთში, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ორგა-

ნიზაციების მუშაობაში, გაცვალონ სპეციალისტები სტაჟირების მიზნით, დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და ატარონ შრომითი პროცესების აღრიცხვა-ანგარიშგება.

ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია დამფუძნებლის წინაშე, მოვალეა დაიცვას მის მიერ დადგენილი წესები და ზუსტად შეასრულოს ინსტრუქციები.

### მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი

მოქალაქეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, აგრეთვე დებულებებსა და წესდებებში, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებში. ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, მოითხოვოს დოკუმენტებითა და ინფორმაციით შეუზღუდავი უზრუნველყოფა, ტექნოლოგიების, მეთოდებისა და ფორმების გაცნობა-შესწავლა, საბიბლიოთეკო საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობა, კონტროლისა და აზრის გამოთქმის უფლება, შრომითი საქმიანობის გამჭვირვალებობა, გეგმებისა და ანგარიშების გაცნობა, შრომითი რეჟიმის კორექცია. ყველას შეუძლია ჩაერთოს მასობრივ ღონისძიებებში დამსწრისა თუ მონაწილის სახით, გახდეს წევრი ბიბლიოთეკაში ორგანიზებული ინტერესთა კლუბებისა და წრეებისა. ჯანმრთელობაზე ზღუდულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის შესაფერისი პირობების შექმნა.

### საზოგადოებრივი კადრები, დასაქმება, საეციალისტთა მომზადება

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა შრომითი პირობები განსაზღვრულია შრომის კანონმდებლობით. კვალიფიციური შრომითი პროცესებისათვის საჭიროა მუშაკს ჰქონდეს სპეციალური ან არასპეციალური უმაღლესი განათლება (სერტიფიცირებული). თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მონაცემთა დადგენა ხდება შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ დამტკიცებული დებულებით, რომელიც წარმოადგენს საფუძველს თანამდებობრივი განაკვეთების დაკავებისათვის. გათვალისწინებულია ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების კატეგორიებად დაყოფა. ბიბლიოთეკებისათვის სპეციალისტთა მომზადების წესს არეგულირებს განათლების კანონი და კანონქვემდებარე აქტები.

კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ახდენენ დიდი ბიბლიოთეკები და უმაღლესი სასწავლებლები ოფიციალურად დამტკიცებული გეგმისა და პროგრამით.

ბიბლიოთეკები ხელმძღვანელი ორგანოების განკარგულებით პერიოდულად ატარებენ ბიბლიოთეკართა ატესტაციას, რაც კადრების ოპტიმიზაციისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნებთანაა დაკავშირებული.

### საზოგადოებრივი საქმის მეთოდოლოგია უზრუნველყოფა

საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა, ბიბლიოთეკის პროცესების წარმოება მოითხოვს მეთოდოლოგიურად გამართულ საქმიანობას. მეთოდოლოგიური ორიენტირებს იძლევა მეთოდოლოგიური მუშაობის შესახებ დადგენილი წესები. მეთოდოლოგიური სამსახურის ცენტრს წარმოადგენს ეროვნული ბიბლიოთეკა, რომლის რეკომენდაციებს ითვალისწინებენ და ავრცელებენ რეგიონალური ცენტრალური ბიბლიოთეკები.

### მატირიალურ-ტექნიკური ბაზა

ბიბლიოთეკა იცავს სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება დადგენილი ნორმატივები და სტანდარტები, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო შესაბამისი ორგანოების მიერ. მათი შესრულება ხდება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

ტექნიკური საშუალებები ბიბლიოთეკაში აჩქარებს, აიოლებს და ნაყოფიერს ხდის მუშაობას. მოწესრიგებული უნდა იყოს ბიბლიოთეკის ფიზიკური გარემო – შესაფერისი შენობა, მოწყობილობა, ავეჯი, ტექნიკური აღჭურვილობანი, ესთეტიკურად გაფორმება, ადგილ-მდებარეობა.

### დაფინანსების სისტემა

დაფინანსების სისტემა აგებულია სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ. დაფინანსება ხდება რამდენიმე წყაროს მეშვეობით: სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სპონსორებისაგან, ბიბლიოთეკის შემოსავლით, კერძო პირთა შემოსწორულებით. დასაშვებია ბიბლიოთეკათშორისი კოოპერირება.

დაფინანსების მოცულობა, ნორმები, ხარჯვის წესები, განკარგვა განსაზღვრულია სახელმწიფოს შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკის სპეციფიკას, შრომითი პროცესების სირთულეს, დონეს, დანიშნულებას, ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ინფრასტრუქტურის თავისებურებას.

სუფსიდიები რეგულირდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საზოგადოებრივი (არასახელმწიფო) ბიბლიოთეკების დაფინანსება და სახსრების განკარგვა ხდება შესაბამისი სახელმწიფო საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისად.





**ბიბლიოთეკის მენეჯმენტი**

ბიბლიოთეკის საქმიანობა ემყარება საკანონმდებლო, მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ და ინსტრუქციულ ბაზას. მიზანია: საქმის გეგმიურად გაძლიერება და შრომის პროცესების ნორმირება, ბიბლიოთეკის მართვა და ხელმძღვანელობა, მაღალი წარმადობის მიღწევა, შრომისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

საორგანიზაციო პროცესების ძირითადი დანიშნულებაა: აღრიცხვა, ანგარიშგება, ფინანსების მიზანშეწონილად განკარგვა, შრომითი პროცესების დაბალანსება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რეალიზაცია, მმართველსა და მართულს შორის კანონიერ ურთიერთობათა დაცვა.

თანამშრომლებისა და ხელმძღვანელების საფუძვლად მიღება და დანიშვნა, მათი დათხოვნა ხდება შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე.

**საბიბლიოთეკო საქმის მართვა**

საბიბლიოთეკო საქმის მართვა მოწესრიგებულია „საქართველოს კანონით საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. მართვის უძირითადეს მიზანს წარმოადგენს საბიბლიოთეკო სისტემის გაძლიერება თანამედროვე მოთხოვნილებათა საფუძველზე.

საქართველოს რეგიონების მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკები წარმოადგენს ადგილზე მართვის უმთავრეს ობიექტებს. მათი საქმიანობა ექვემდებარება ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ აპარატს. მართვის სისტემა იქმნება სახელმწიფოში მართვის იერარქიული სქემის მიხედვით.

**საკანონმდებლო ბაზა**

საბიბლიოთეკო საქმის წარმოება ეფუძნება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ მითითება-რეკომენდაციებს. გათვალისწინებულია როგორც საყოველთაო, ისე დარგის კანონმდებლობით დოკუმენტები: საბიბლიოთეკო კანონი, დებულებები, დადგენილებები, გადანაწილებები, განკარგულებები, ბრძანებები, დადგენილებები, ინსტრუქციები, სახელმწიფო სტრატეგიული გეგმები, წესდებები და წესები.

საკანონმდებლო ბაზა დინამიურია – იგი იცვლება ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით – ივსება და სათანადო კორექტივებს განიცდის.

*შეადგინა ალექსანდრე ლორიაშვილი*

**ანა გერგაძე**

*№5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკარი*

**№5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკა**

№5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკა არის თანამედროვე სტანდარტების ღია ტიპის ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსა და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის 2011 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე წარმოდგენილია 3000-ზე მეტი დასახელების წიგნით, რომელთა ეგზემპლარების საერთო რაოდენობა აღემატება 7000-ს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული ლიტერატურით. წიგნების უმრავლესობა ქართულია, გარდა ამისა, ბიბლიოთეკას გააჩნია ინგლისურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და სხვა რამდენიმე ენაზე გამოცემული წიგნები.

ბიბლიოთეკა წიგნების კატალოგიზაციისთვის იყენებს საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამას HA-ს, რომლის დაინსტალირება მოხდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის დახმარებითა და თანამშრომლობით. წიგნების კლასიფიკაციისთვის გამოყენებულია დუის ათწილადი კლასიფიკაციის სისტემა.

თითქმის ყოველდღიურად ხდება №5 ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლება პრესით. გარდა ამისა, ბიბლიოთეკას გააჩნია 450 ცალი აუდიო-ვიდეო მასალა. ბიბლიოთეკის თითოეული ზემოთ აღნიშნული სეგმენტი ხელმისაწვდომია როგორც ქალი პატიმრებისთვის, ასევე დაწესებულების თანამშრომლებისთვის. ბიბლიოთეკის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ბიბლიოთეკიდან გაიტანონ და თავიანთ ოთახებში დანიშნულებისამებრ

გამოიყენონ ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული ლიტერატურა, ასევე, მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე გაეცნონ მათთვის სასურველ მასალას და ისარგებლონ კომპიუტერებით.

გარდა საბიბლიოთეკო მომსახურებისა, ბიბლიოთეკა ეხმარება ამავე დანესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს მსჯავრდებულებისათვის ტრენინგების ჩატარე-

რომელთა შორის იყვნენ მწერლები ლაშა ბულაძე, დათო ტურაშვილი და რეჟისორი დავით საყვარელიძე.

ბიბლიოთეკა მზადაა ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა ინიციატივას ჩაატარონ ლიტერატურული თუ სხვა სახის კულტურული ღონისძიებები. 2012 წლის 14 ოქტომბერს, მსჯავრდებულთა ინიციატივითა და ბიბლიოთეკის მხარდაჭერით მსჯავრდებულებისათვის და უცხოელი სტუმრებისთვის, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობის“ მიხედვით, ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) წარმოდგენილ იქნა მინი-სპექტაკლი „ჯინსების თაობა“.

ბიბლიოთეკაში რეგულარულად იმართება ფილმების ჩვენება, ასევე გამოყოფილია დრო მუსიკისთვის.

საერთაშორისო სტანდარტებით პატიმრობაში მყოფ ადამიანს არ ჩამოერთმევა განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება, ამდენად, №5 ქალთა სასჯელაღსრულების დანესებულების ბიბლიოთეკა სასჯელაღსრულების, პრობაციისა




და იურიდიული დახმარების სამინისტროს მხარდაჭერით, ორიენტირებულია ქალი პატიმრებისთვის სწორედ ამ ორი უნივერსალური უფლების რეალიზებაზე.

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებით, მშვიდი

ზემოჩამოთვლილი ღონისძიებებით, მშვიდი

ბაში. გამოყოფილია საკონფერენციო ოთახი, რომელიც მთლიანად ეთმობა მსჯავრდებულთა ტრენინგებს. 2012 წლის მაისიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მსჯავრდებულთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის ჩატარდა ფლორადიზანის, ინგლისურის, ქართული ენის (ეთნიკური უმცირესობებისათვის) კურსები, ბიზნეს ტრენინგი. ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ტრენინგები, შრომითი უფლებების, სამუშაოს მოძიების უნარ-ჩვევების, გათავისუფლებისთვის მომზადების კურსები დღესაც აქტიურ ფაზაშია.

№5 ქალთა სასჯელაღსრულების დანესებულების ბიბლიოთეკა, ხელმძღვანელობს რა საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციის სასჯელაღსრულების დანესებულებების ბიბლიოთეკებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოთი, ორგანიზებას უწევს და მასპინძლობს სხვადასხვა კულტურულ, გასართობ თუ სარეაბილიტაციო პროგრამებს. უახლოე სწარსულში ბიბლიოთეკამ უმასპინძლა საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ ფილმის ჩვენება-განხილვას. 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მსჯავრდებულებს საშუალება მიეცათ ბიბლიოთეკის მშვიდ და მყუდრო გარემოში შეხვედროდნენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ინიციატივით მოწვეულ სტუმრებს,



და მყუდრო გარემოს შექმნით, ბიბლიოთეკა ცდილობს, ქალ პატიმრებს შეუმსუბუქოს თავისუფლების აღკვეთის ფსიქოლოგიურად მძიმე პერიოდი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მათი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საქმეში.

ბიბლიოთეკაში დასაქმებულნი არიან და ბიბლიოთეკას საბიბლიოთეკო საქმის განხორციელებაში ეხმარებიან მსჯავრდებულები.

# საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია: ცვლილებები მართვაში


ჩვენი საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობა ახლოს იცნობს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის საქმიანობას. განვლილი 12 წლის მანძილზე ასოციაციამ გარკვეული სამუშაოები ჩაატარა საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკების შენარჩუნების, ადგილობრივ



ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებებით. ასოციაციამ განახორციელა რამდენიმე პროექტი ბიბლიოთეკების ავტომატიზაციისა და ელექტრონული კატალოგების აგებისათვის. ასოციაციის მხარდაჭერით 2000 წლიდან იცემა პირველი ქართული პროფესიული ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“. ასოციაციის წესდების თანახმად, აუცილებელი იყო ასოციაციის პრეზიდენტისა და გამგეობის გადარჩევნები. ამ მიზანს ემსახურებოდა მიმდინარე წლის 20 ივნისს გამართული საბიბლიოთეკო ასოციაციის ყრილობა. ყრილობა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. გარდა ასოციაციის წევრებისა ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო, გაერთიანებათა დირექტორები, მასმედიის წარმომადგენლები, მკითხველები, უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების ხელმძღვანელი პირები. ყრილობამ მოისმინა ასოციაციის პრეზიდენტის ირაკლი ღარიბაშვილის საანგარიშო მოხსენება 2005–2013 წ. წ. განეული მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ასოციაციის საქმიანობა გასული 8 წლის მანძილზე, ისაუბრა საბიბლიოთეკო ქსელში არსებულ პრობლემებზე,

ბიბლიოთეკართა სოციალურ მდგომარეობაზე, მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელში არსებულ პრობლემებზე. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ასოციაციის მიერ მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო პროცესების ავტომატიზაციის მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობისა და ელექტრონული ჟურნალების გამოყენების საკითხებზე. მოხსენებაში გარკვეული ადგილი დაეთმო ბიბლიოთეკების კონსორციუმის საქმიანობის აღწერას, აქ არსებულ სიძნელეებს. ასოციაციის საქმიანობის შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს: ლევან თაქთაქიშვილმა (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორი), ინგა არგუტინსკაიამ (თბილისის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა). ალექსანდრე ლორიამ (ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი); ყრილობაზე საპატიო სიგელები და საჩუქრები გადაეცათ ასოციაციის გამგეობის ღვანლმოსილ წევრებს.


ყრილობაზე არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია



სამი კაცის შემადგენლობით: ინგა ლომოური (თბილისის კერძო კოლეჯი), ნონა თევზაძე (კერძო სკოლა „ათინათი“) და მანონი ხორავა (თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა).

ყრილობის ძირითადი საკითხი იყო ასოციაციის ახალი პრეზიდენტისა და გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატებად წარმოდგენილი იყვნენ:

რუსუდან ასათიანი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პლაკატისა და ესტამპის განყოფილების უფროსი, ციფრული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი) და დიანა გელაშვილი (ხაშურის



მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი).

ორივე კანდიატმა ყრილობას წარუდგინა საკუთარი პროგრამა. კანდიდატებმა ყურადღება გაამახვილეს საბიბლიოთეკო ქსელში არსებულ პრობლემებზე, ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ფუნქციონირების, საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლების სრულყოფის, სოციალური გრანტებისა და სხვ. მნიშვნელოვან პრობლემებზე. ორივე კანდიდატმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს, გაიმართა დისკუსია.

ასოციაციის პრეზიდენტისა და გამგეობის არჩევნებისათვის ჩატარდა კენჭისყრა. ასოციაციის პრეზიდენტად არჩეული იქნა რუსუდან ასათიანი – 40 ხმა; დიანა გელაშვილმა მიიღო 17 ხმა. გამგეობის წევრობის კანდიდატებად დასახელებული იყო 24 კანდიდატი. კენჭის ყრის შედეგად გამგეობის წევრებად არჩეულ იქნა 10 კაცი: ირაკლი ღარიბაშვილი, გურამ თაყნაშვილი, ალექსანდრე ლორია, ციციბო ქველიძე, რუსუდან ასათიანი, ინგა ლორია, დიანა გელაშვილი, გიორგი

კველიძე, თამარ ხახუტაშვილი, გენადი მახარაძე; საანგარიშო ყრილობის გადამწყვეტილებით, ასოციაციის სამქიანობა განვლილ პერიოდში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. 6 ივლისს გაიმართა ახლად არჩეული გამგეობის სხდომა. სხდომაზე განიხილეს ასოციაციის მუშაობის პირველი რიგის გადაუდებელი ღონისძიებები, მოისმინეს მოკლე ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში საბიბლიოთეკო ქსელის მდგომარეობის, სასწავლო ცენტრის, პროფესიული დაოსტატეტის და სხვ. საკითხების შესახებ. გადამწყდა, ასოციაციამ უფრო ქმედითი ღონისძიებები გაატაროს საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაციის, საკანონმდ-



ბლო ბაზის სრულყოფისა და ბიბლიოთეკართა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ახლად არჩეულმა გამგეობამ ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორად ერთხმად აირჩია ირაკლი ღარიბაშვილი, მდივნად დიანა გელაშვილი.

**რუსუდან ასათიანი – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი**

დაბადების თარიღი: 07. 05. 1980

**გამოქვეყნებული ნაშრომები:**

- ლამარა ღონდაძე „ძახილი“ – ნიგნის მხატვრული გაფორმება (კომპიუტერული გრაფიკა).
- ჟურნალი „ომეგა“ – რუბრიკა ფოტოობიექტივი.
- თორნიკე ასათიანი – „ქართული ჰერალდიკა, გერბთმცოდნეობა“ – (კომპიუტერული უზრუნველყოფა, ფოტოები).
- VIII საერთაშორისო მონუმენტური ფოტოგრაფიის გამოცდილება: კატალონია, ბარსელონა. – კატალოგი
- **მუშაობის სტაჟი:**
- 2005–2008 გაზეთი „კულტურა“ – ფოტოგრაფი-დიზაინერი.

- 2005–2008 კომპანია „ჯეპრა“ – შტატგარეშე თანამშრომელი, ორგანიზაციის მიერ მონაცემები ღონისძიებების ფოტოგადაღება და გაშუქება, დიზაინერი.
- 2006–2008 ბრიტანული აკადემია – ფოტოკლუბის ხელმძღვანელი.
- 2007–2008 გამომცემლობა „ნმინდა ნინო“ – საერთაშორისო პროექტების მენეჯერი, ფოტო-დიზაინი, კომპიუტერული უზრუნველყოფა.
- 2009–2012 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის განყოფილების ნამყვანი სპეციალისტი.
- 2012 წლიდან დღემდე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პლაკატისა და ესტამპის განყოფილების უფროსი, ციფრული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.



## ნ. თათარაშვილი

მცხეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის მენეჯერი

## ბიბლიოთეკა – სოფლის ტაძარი

დგება დრო, როდესაც განვლილ ცხოვრებას შემფასებლის თვალთ გადახედავ და ანალიზს გააკეთებ...

უამრავი შემთხვევაა, როცა წარსულის შეფასებას ახდენენ:

– პედაგოგი სასწავლო წლის ბოლოს აფასებს მოსწავლის ცოდნას და ნიშანს წერს...

– ექიმი პაციენტის ჩვილს მოისმენს და ანალიზის შემდეგ დასვამს დიაგნოზს და მკურნალობას დანიშნავს.

– მშენებელი მშენებლობის დასრულების შემდეგ შეაფასებს თავის აშენებულს და შვებით ამოისუნთქავს და ა. შ. ყველა პროფესიას თავისი სირთულე და სპეციფიკა აქვს, სპეციფიკა, რომელიც უამრავი ადამიანის შეცნობას, და ნიჭს, გამოცდილებასა და დაუღალავ შრომას საჭიროებს.

... ბიბლიოთეკარებსაც უამრავი სამუშაო მეთოდი გვაქვს ათეული წლების მანძილზე ჩამოქნილი და შემუშავებული, სათუთად შენახული და პრაქტიკაში განხორციელებული...

სწორედ ამ მიზანს ისახავდა მცხეთის შ. რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ 4 ივლისს გამართული შემაჯამებელი ღონისძიება „ბიბლიოთეკა – გუშინ, დღეს, ხვალ...“ დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ მოვიწვიეთ წიგნის საუფლოში, კიდევ ერთხელ შევახსენეთ მკითხველს წიგნის და ბიბლიოთეკების არსებობა.

ჩვენს მკითხველებთან შესახვედრად შეგნებულად ავირჩიეთ რიცხვი 2 ივნისი კვირა დღე იყო, რადგან ეს ის თარიღია, როდესაც მცხეთაში პირველად აკურთხეს საჯარო „წიგნთა საკითხავი“:

გაზეთი ივერია, №120, 1891 წლის 9 ივნისი. ვკითხულობთ: „მცხეთა 2 – თიბათისთვის ჩვენში ფრიად სასიამოვნო ამბავი მოხდა. ამ დღეს საღამოს აკურთხეს საჯარო წიგნთა საკითხავი, ბევრი ხალხი დაესწრო და დიდი სიამოვნებით მიეგება გახსნასა და კურთხევას“.

ჩვენი დიდი გულისტკივილია ის, რომ უამრავი

ბიბლიოთეკა, გაუქმდა და ათეულ-ათასობით წიგნი ტომრებში მოთავსდა. კიდევ ერთხელ შევახსენეთ თავი ადგილობრივ ხელმძღვანელობას. ისინი გაგებით ეკიდებიან ამ საკითხს... და თითქოს უფლის ნებით უამრავი ბიბლიოთეკარის სურვილს დაემთხვა პატრიარქის ქადაგება წიგნისა და ბიბლიოთეკების შესახებ, უწმინდესმა შაბათი წიგნის დღედ დააწესა. „შაბათს ყოველი ჩვენგანი კითხულობდეს წიგნებს და, თუ აქვს საშუალება, წავიდეს ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა უნდა გაივსოს ჩვენი ხალხით. იქ ჩვენ ვნახავთ უამრავ ძვირფას წიგნს“...



„შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება“.

„უნდა იკითხოთ წიგნები, რომ განსაჯოთ, სად არის კეთილი და სად არის ბოროტი“. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეს სიტყვები გვაძლევს იმის სტიმულს და ძალას, რომ არ გავჩერდეთ და მხოლოდ საქმის დაუღალავად კეთებით მივალწიოთ იმ დიდ საქმეს, რასაც მომავალი თაობის სულიერი აღზრდა ჰქვია.

მცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა გამოეხმაურა პატრიარქის მოწოდებას და შაბათი დღე სამუშაო დღეებს მიემატა. სწორედ ამ ინფორმაციით დავიწყეთ ჩვენი შემაჯამებელი ღონისძიება მკითხველებთან, მკითხველებთან რომელთანაც არაერთხელ გვისაუბრია წიგნზე და ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე. მათ კიდევ ერთხელ შევახსენეთ პროფესია ბიბლიოთეკარისა, რომლის არც თუ ისე

იოლი საქმიანობაზე ვისაუბრეთ.


ვისაუბრეთ ჩვენი საკმაოდ გამოცდილი ბიბლიოთეკართა გუნდის დიდი საქმის, დიდი ღვაწლის და თავგანწირვის შესახებ... შესა-

ყველა მკითხველისთვის.

ჩვენს მკითხველს ისიც შევახსენეთ, რომ ახალგაზრდული კომპიუტერული ცენტრის სპეციალისტების მიერ კვლავ შეუფერხებლად მიმდინარეობს კომპიუტერის უფასო სწავლების კურსები.

ჩვენი შემაჯამებელი ღონისძიები დასრულდა სიტყვებით:

ღიახ, ჩვენ ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებთ, ეს თვისება წიგნმა შეგვძინა, მას სიჩუმე და სიჩუმით მიღწეული წარმატებები უყვარს. დღევანდელი ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვცდილობთ ნაკლებად ვისაუბროთ ბიბლიოთეკის მომავალზე. ამას ჩვენ მომავალ თაობას ვუთმობთ. ჩვენ წარსულიდან მოვიძიეთ უძვირფასესი მასალები მცხეთაში საბიბლიოთეკო ცხოვრების შეს-



ბამისად ვისაუბრეთ შედეგებზეც. ჩავატარეთ დიდი შრომისა და გამოცდილების შედეგებზე დამყარებული კონკურსები, რომლებიც წიგნის პროპაგანდის არაჩვეულებრივი გამოხატულებაა.


ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ჩაატარა ბევრი მასობრივი ღონისძიება, რაც პროექტების სახით განხორციელდა ბოლო 5 წლის მანძილზე:

1. ვიქტორინა კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“;
2. ვიქტორინა კონკურსი „ცხრაკლიტული“;
3. ინტელექტუალური კონკურსი „სად, როდის...“ ლ. სანიკიძის „წიგნი მონამეთას“ მიხედვით;
4. „ცოდნის ბარათები“;
5. მხატვრული კითხვის კონკურსი „მე შენ მიყვარხარ, საქართველო“.

ჩვენს მკითხველს ისიც ვაცნობეთ, რომ ჩვენთან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საბიბლიოთეკო პროგრამაზე „ოფენ ბიბლიო“ – ღია ბიბლიოთეკა. ღიახ, ამ პროგრამის წყალობით ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ღია ხდება

ახებ.

წარსული უძვირფასესი გვაქვს. აწმყოს ვხედავთ, მომავალი კი თქვენ გეკუთვნით, ჩემო ახ-



ალგაზრდა თანამშრომლებო. ერთს კი სიამაყით ვიტყვით: მომავალი უკეთესი გვექნება, რადგან აწმყო შობილია წარსულისაგან და ორივე ერთად მშობილია მომავალისა.

დასასრულს გაიმართა დისკუსი, რომელშიც აქტიურად ჩაება დამსწრე საზოგადოება.

მ. ბლუაშვილი

რუსთავის №6 საჯარო სკოლის პედაგოგი

## მკითხველთა აქტივობით

რუსთავის მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეების ერთ-ერთი საყვარელი ადგილი ბიბლიოთეკაა. აქ ყოველთვის მოსწავლეთა სიმრავლეა. პატარები არჩევენ ლამაზყდიან, ილუსტრირებულ, ახალთახალ საბავშვო წიგნებს, უფროსკლასელები კი ეძებენ საპრეზენტაციო მასალებს, დამატებით წყაროებს რეფერატებისა და საკონფერენციო მოხსენებებისათვის. ზოგიერთები ახლადშეძენილ ლიტერატურას ათვალეობენ. მოსწავლეებმა იციან, რომ ბიბლიოთეკა სისტემატურად ივსება ახალ-ახალი წიგნებით.

სკოლის ბიბლიოთეკარი ჯულიეტა ხაჩატურიანი პოეზიის მოყვარული ქალბატონი გახლავთ. იგი ხშირად მონაწილეობს იმ ლიტერატურულ ღონისძიებების მომზადებაში, რომლებიც სისტემატურად ტარდება სკოლაში. ასეთი იყო უცხო ენათა კათედრის მიერ მომზადებული ინგლისური პოეზიის საღამო, ილია ჭავჭავაძის 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი. 14 მარტს სკოლის უფროსკლასელებმა თანატოლებს უჩვენეს მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „მთვარიანი საღამო“, რომელიც სერგეი ესენინის ცხოვრებასა და შემოქმედებას მიეძღვნა. მოსწავლეები ყვებოდნენ დიდი რუსი პოეტის მეგობრობაზე ქართველ „ცისფერყანწელებთან“ – პაოლო იაშვილთან, ტიცინ ტაბიძესთან, გიორგი ლეონიძესთან, მის სიყვარულზე ცნობილ ბალერინა აისადირ დუნკანისადმი, მის ტრაგიკულ აღსასრულზე. კითხულობდნენ ესენინის ლექსებს რუსულ და ქართულ ენებზე.

კომპოზიცია მოამზადეს რუსული ენის ახალგაზრდა მასწავლებლებმა ზარინე საპონჯიანმა და მარინე ბლუაშვილმა. ამ საღამომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედება ყოველგვარი დროისა და სივრცის გარეთ დგას. დარბაზი სუნთქვაშეკრული უსმენდა ესენინის შედევრებს: „ქართველ პოეტებს“, „წერილი დედას“, „შაგანე“ და სხვ.

უფროსკლასელების მიერ დიდი გრძნობით წაკითხულმა ლექსებმა ბევრ მსმენელს გაუჩინა სურვილი, თავად გაეცნოს სერგეი ესენინის პოეზიას. საღამომ თავისი მისია შეასრულა: მსმენელს ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა; სკოლის ბიბლიოთეკას კი პოეზიის მოყვარულები შემატა.

საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში სკოლის აკადემიური მოსწრების დონე საგრძნობლად ამაღლდა, ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩინოთ სკოლაში ხშირად ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიება, ღია გაკვეთილი, პროექტები, კედლის გაზეთების გამოცემა, კათედრების მიერ ჩატარებული „კვირეულები“ და სხვ. პედაგოგებს არ ჩამორჩა ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარი. სწორედ მან – ქალბატონმა ჯულიეტა ხაჩატურიანმა რუსული ენის პედაგოგ ზარა საპონჯიანთან ერთად გაგვიმართა ესენინისადმი მიძღვნილი ეს მშვენიერი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ მაღალი კლასის ქართველი, რუსი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები, რომლებმაც მხატვრულად წაკითხეს სერგეი ესენინის ლექსები და მოგონებები, გვიამბეს მისი ტრაგიკული ცხოვრების შესახებ, მისი და ქართველი პოეტების მეგობრობაზე, გვაჩვენეს ნაწყვეტები საპატრიარქოს მიერ გადაღებული ფილმიდან „გაქცევა საქართველოში“. ნაგვიკითხეს ქართულ ენაზე ნათარგმნი ლექსები. დიდ მადლობას ვუძღვნით ქალბატონ ჯულიეტას იმ მშვენიერი წუთებისათვის, რომელიც მისმა ღონისძიებამ განგვაცდევინა.

# პოეზიის საღამოები „ჩათარხისში“

და სიკვდილის ჟამს, როცა ღედვანი  
ნაშდთან ცრემლს და ღიმიდს დაწოვებენ,  
მე დამწოვებენ ქვეყნად ყველანი,  
საღამონი კი არ დამწოვებენე.

**მირზა გელოვანი**

ამა წლის აპრილის დასაწყისში თბილისის მოხუცთა თავშესაფარ – „კათარხისის“ ბიბლიოთეკის ლიტერატურულ-მუსიკალური სალონი „საპოვნელა“ მორიგ საღამოს, როგორც ქალბატონ ლილე გორდელაძეს სჩვევია, ექსპრომტად ატარებდა. ბიბლიოთეკა სავესე იყო მკითხველებით და გამომსვლელებით. სტუმრებიდან ყურადღება საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ყოფილმა ჟურნალისტმა ბატონმა ხაჩატურ ვართანიანცმა მიიპყრო, რომელიც თავად საღამოში მონაწილე ბენეფიციარს, მომღერალსა და გიტარისტს გივი ბარბაქაძის მოწვევით მოსულიყო. საღამო გახსნა ქალბატონმა ლილიმ, რომელმაც მსმენელს გააცნო მოწვევის მიზანი. მან ქართული და, საერთოდ, პოეზიის შესახებ ილაპარაკა. მერე კი თანდათან დაიწყო მონაწილეთა შემოყვანა მსმენელის წინაშე. ქალბატონმა ლილიმ დიდი სით-

ბოთი და სიყვარულით აღნიშნა თითოეული მათგანის ღვანლი. ქალბატონმა ლილიმ მსმენელთ განუცხადა, რომ სალონმა „საპოვნელამ“ თავი მოუყარა იმ პირებს, რომელთა წარმოდგენა ალბათ საღამოს სახელსაც გაამართლებს: ქართული პოეზია – „საპოვნელამ“ იპოვა და თქვენს წინაშე ექსკლუზივად წარმოადგენს ახალ ბენეფიციარებს.

სალონის დიასახლისმა მსმენელს გააცნო მომღერალი და გიტარისტი ბატონი გივი ბარბაქაძე, როგორც არაერთი წიგნის ავტორი. მან დამსწრეთ წარუდგინა ბატონ გივის წიგნები: „ლექსები“, „დაუკარით გიტარა“, „დაუკარით და იმღერეთ“, „ატირეთ გიტარა“ და სხვა, სალონის დიასახლისმა აღნიშნული წიგნებიდან მადლიერი მკითხველის მიერ ბატონ გივისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხა:

კვნისის სიმი გიფარის, მე ბავშვივით შეგცქერი,  
მოგეფერე, რითმებით მეფი ველან შევქედი.  
ნას მიქვია სიბერე, წუთისოფდის ვადები,  
ძადას მმაჯებს შენი ხმა და მეფყვიდი თვადები,  
მღერისხარ და სიმღერა გუღს მედება მაღამოდ,

როგორ გამიღამაბუ დღევანდელი საღამო!

კვნისის სიმი გიფარის, კვნისის კი არ ქვითინებს,  
ერთიც თუ არ გვიმღერე, დავლონდები, ვიფინებ,  
მომღერადო ძვირფასო, პოეზიის ცრფიადო,  
გღოცავ, შენი გიფარა კვდავ დიდხანს ახმიაწო!

**ნ. დარჩიაშვილი**

საღამოს პოეტი ჯემალ ბაშარული უერთდება თავისი ახალი წიგნით „სიყვარული ყველას უნდა“. ავტორმა თავად მოაწყო ახალი წიგნის პრეზენტაცია და თანაც რამდენიმე ლექსიც წაიკითხა. აქვე არ დააყოვნა სალონის დიასახლისმა და მკითხველთა სამსჯავროზე ან გარდაცვლილი პოეტების





– ლავრენტი ძიმისტარაშვილის „ლექსებისა“ და თეიმურაზ აბულაძის ლექსების „სახსოვარი“ წარადგინა. ქალბატონმა მსმენელს მიანოდა მათ შესახებ საინტერესო ცნობები და ლ. ძიმისტარაშვილის პატარა ნიგნის გაყვითლებული ფურცლებიდან ერთი მშვენიერი ლექსი – „ქალს“ წაიკითხა:

შენი ღიმილი, ქადაო,  
ბანაქა და მადია,  
ინემი მთასა მყვირადი  
დაბურუდ მთების დარდია.  
ინემი სხვაა, ქადაო,  
და სხვაა შენი დიდება,  
ციდან ჩამოვა ოცნება,  
უბეში აგიფირდება.  
წანის რხევა და რონინი  
რა ჯადოსნური გქონია!  
ქადაუ, ერთხედ გნახე და  
მიყვარხარ, ასე მგონია!

ამ მშვენიერ ლექსს თეიმურაზ აბულაძის ლექსის სტრიქონებიც შეუერთდა:

არ ვყვარებივარ ისე არავის,  
როგორც მე ვგრძნობდი ამ ცეცხლს... თავიდან...  
უქვის დეკვი მობიპარავნ  
და წამათრევენ დამისყანიდან...  
მაინც მოვალნევ,  
კვდავ ფეხშიშვედა,  
შენთან,  
რომ გარეთ ლამე  
გითიო,  
თორემ შენ სად  
გაქვს ქერი იმხედა,  
მე შემიფარო და  
დამიციო...

სალამო გრძელდება. მაგრამ მსმენელი დაღლას არ გრძნობს. ქალბატონი ლილი კვლავ ახალი ბენეფიციარების შემოყვანითაა გართული. სალამოს მშვენება იყო ბატონი იოსებ ხუცურაული, მხატვარი მოქანდაკე. კაცი, რომელმაც ზეპირად იცის უამრავი ლექსი და პოემა. ბატონ

იოსებს დამსწრე საზოგადოებამ დაბადების დღე 84 წელი მიულოცა.

პოეზიას შიგადაშიგ მშვენიერი მომღერლების – რუსუდან ნაგლიაშვილისა და მაცვალა ბერძენიშვილის სიმღერებიც ამშვენებდა. სალამოს მსვლელობას კვლავ აგრძელებს ქალბატონ ლილი და მსმენელებს თავისებური სიტყვანული ანობითა და ხიბლით აცნობს – პოეტს გივი ბუთხუზს. მსმენელი და მაცურებელი მოიხიბლა სპორტული აღნგაობისა და მშვენიერი გარეგნობის ვაჟკაცით. ბატონმა გივიმაც არ დააყოვნა გამოეხატა თავისი მადლიერება ბიბლიოთეკისადმი და მსმენელს მოასმენინა კაფიაობა „ხინკალი“, რამაც დიდი ჟრიაბული და ხალისი შეიტანა მაცურებლებში.

ძალზე ოსტატურად და ორიგინალურად წარუდგინა ქალბატონ ლილიმ საზოგადოებას – დეკორატორი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი, აკადემიკოსი ნიკო მუმლაძე. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გაუკეთა მის წიგნებს. თან ვიქტორინაც შესთავაზა დამსწრეებს, გამარჯვებულები დააჯილდოვა ავტოგრაფიანი წიგნებითა და დეკორატიული გამოყენებითი ექსპონატებით. სალამო მიიწურა; დამსწრეები ითხოვდნენ მის გაგრძელებას უახლოეს დღეებში.

ლიტერატურულ-მუსიკალურმა სალონმა



„საპოვნელამაც“ არ დააყოვნა და პირველ მაისს ბიბლიოთეკამ კვლავ მიიღო მკითხველთა ასალი ნაკადი.

„ფშავ-ხევსურული პოეზია – კაფიაობა“, – ასეთი იყო საღამოს თემა. საღამოზე მონაწილეობა მიიღეს: პოეტმა ჯემალ ბაშარულმა, მშენებელმა კობა ბოჭორიძემ, მხატვარ მოქანდაკემ იოსებ ხუცურაულმა და ნიკო მუმლაძემ. აგრეთვე „კათარზისის“ მომღერლებმა ციალა კიკილაშვილმა, ესმა მჭედლიშვილმა და დარიკო ღარიბაშვილმა. საღამოს ამშვენებდა „კათარზისის“ ბენდი ოთარ გელაძისა და ვახტანგ გოგუაძის შემადგენლობით.

ისე როგორც წინა საღამო, ესეც ექსპრომტად იქნა შეთავაზებული. საღამო კიდევ უფრო ხალისიანი და უჩვეულოდ წარმართა მას შემდეგ, რაც „კათარზისის“ მენეჯერმა ქალბატონმა ინგა ცაცილაშვილმა ბიბლიოთეკის დასათვალისწინებლად თბილისის შპს კერძო სკოლა „ოქროს აკვნის“ მოსწავლეები და მასწავლებლები მოიყვანა. დიდი ლადო აღნიშვილის შთამომავალი ანანო აღნიშვილი წარუდგინეს დამსწრეთ. პატარა ანანომ მშვენივრად წაიკითხა ლექსი და არც ცეკვაზე თქვა უარი.

ბატონმა ოთარ გელაძემ და ვახტანგ გოგუაძემ არ დააყოვნეს. ანანომ და ბატონ იოსებ ხუცურაულმა ცეკვა ხევსურულით პირდაპირ ცეცხლი დაანთეს. ამ მხიარულებას მეათე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. მათ საღამოს მსვლელობის კადრები და ფოტოები გადაიღეს. გამომშვიდობებისას კერძო სკოლა „ოქროს აკვნის“ დირექტორმა ქალბატონმა მაია მიქაძემ აღფრთოვანება ვერ დამალა და სალონის დიასახლისს დიდი მადლობა გადაუხადა:

„თქვენ მე დიდი რწმენა ჩამინერგეთ. შემიძლია ვთქვა, რომ სიბერის აღარ მეშინია. მიგულეთ თქვენს მეგობრად და გპირდებით, რომ უახლოეს ხანში მე ჩემი სკოლის ბავშვებით გენვევით და თქვენთან კავშირს არ გავწყვეტ. ეს დღე ჩემთვის დაუფინყარია, არც კი მჯერა, რომ ჩვენ შემთხვევით მოვხვდით დღეს აქ. მადლობა ასეთი დახვედრისათვის“.

ნიკო მუმლაძემ ბავშვებს ლექსი „მომავალ თაობას“ მიუძღვნა. ბიბლიოთეკაში ტევა არ იყო. დამსწრეები თანდათან უფრო და უფრო მატულობდნენ. ბიბლიოთეკის ზღურბლზე პოეტი ქ-ნი ლია უცუნაშვილი დიდი თაიგულით გამოჩნდა, საკუთარი ლექსით მიესალმა სალონის მონაწილეებს.

განა ვცირი?

იქნებ სვიმა შემხვდა გზაში,  
სინამდვილემ ოცნებები ჩემი სძდია,  
აკვირდები? არავითარ შემთხვევაში –  
სიყვარული უგრემლოდაც  
შემიძდია!c

ძნელია ყველაფრის აღწერა, რაც ამ საღამოს სუფევდა. მიუხედავად იმისა, რომ საღამოს თემა კაფიაობა იყო, უნდა აღინიშნოს, რომ დისონანსი არ შემოტანილა. მართლაც, ექსპრომტად იყო ყველაფერი. ქ-მა ლილიმ საღამო ზიგზაგებით ატარა და მარგალიტის მძივივით აასხა.

პოეტმა იოსებ ხუცურაულმა საზოგადოებას სახალხო მთქმელების მთელი გუნდი წარუდგინა: ხობა ლუბიანური ხაიშიდან, ფრუშკა (ქოთილა) – ალექსი ნვეროშვილი, ყრუ გიორგი – გიორგი მგელიაშვილი, ჩონქარა, ბუთლა ალბუთაშვილი, ელიბო მინდოდაური, ნადირა ქუმსიაშვილი და სხვა.

მსმენელთა წინაშე ერთმანეთს ექსპრომტად კაფიაობდა ხობა ლუბიანური და ფრუშკა.

ბატონ იოსებ ხუცურაულმა ბევრი ხალხური მელექსე გაიხსენა და ბოლოს გამოსვლა თავისი პაპის – ხალხური მთქმელის – ბუთლა ალბუთაშვილის ლექსით დაასრულა:

ღავბერდი, პაპა ბუთღაო,  
ჯერ ისევე ვარ მხნედაო,  
რაც თვაღხიღელმა ვერ ვნახე,  
თვაღდათხრიღ ეხდა ვხედაო.  
ღაზრდიღან ფშავდის შვიღები,  
აჯიღლებ დაიხენღაო,  
სუყვეღას ნიღნი უჭირავს,  
საითაღ გაიხეღავო,  
აქ ვერ მოვესწარ, იქ მაინც  
მსწავღელი დამაზღღერაო!

ბატონ იოსებს, მომღერლები ციალა კიკილაშვილი და ესმა მჭედლიშვილი ჩაენაცვლა „ქალვაჟის კაფიაობით“ ბენდის ოთარ გელაძისა და ვახტანგ გოგუაძის აკომპონიმენტით.

დასასრულ, მშენებელი ინჟინრის კობა ბოჭორიძის გამოსვლამ კიდევ უფრო გაამხიარულა საზოგადოება მშვენიერი სხარტულებით. თაობების შეხვედრამ კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთ თანადგომას.

**ყურნალისტი – ნანა მაღალაშვილი**  
**მხატვარ მოქანდაკე – ნიკო მუმლაძე**  
**ექიმი – თამარ შაიშმაშვილი**  
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**  
**– დავით არაბიძე**

**ქათვან ნიკურაძე**

თბილისის მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე

# ინტელექტუალური ვიქტორინა – თამაში

ჩვენი ბიბლიოთეკის საქმიანობის უმთავრესი მისია გახლავთ, რაც შეიძლება მეტი მოსწავლე და სტუდენტი-ასალგაზრდა ჩავაბათ საბიბლიოთეკო კითხვაში, ვაზიაროთ ისინი წიგნის სიყვარულს, ვასწავლოთ კითხვის კულტურა და წიგნთან მუშაობა, ასევე სკოლასთან და ოჯასთან ერთად ჩვენი პატარა, მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ მოზარდის სრულყოფილ და ერუდირებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.


სამწუსაროდ, დღეს ჩვენმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ დაივიწყა წიგნი, ნაკლებად კითხულობენ და კომპიუტერებს არიან მიჯაჭვულნი, რამაც ძალზე სავალალო შედეგი



მოგვცა, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მოსწავლე-ასალგაზრდობა არ არის გათვითცნობიერებული და ცუდად იცნობს საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ძველი და თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ბიოგრაფიასა და შემოქმედებას. სწორედ ამ ვითარებამ გადაგვანყვებიტინა, გავგვეკეთებინა პროექტი ინტელექტუალური ვიქტორინა – თამაში: „ყველაზე სხარტი, ინტელექტუალური და მოაზროვნე“. ჩვენს მიერ შედგენილ იქნა დებულება და ინსტრუქცია ინტელექტუალური ვიქტორინა-თამაშის ჩატარებასთან დაკავშირებით, ასევე შევადგინეთ კითხვარი, რომელიც მქცნიერების 15 დარგისა და 1038

საკითხისაგან შედგებოდა. შემდეგ დავუკავშირდით თბილისის კერძო და საჯარო სკოლებს და შევთავაზეთ, მიელოთ მონაწილეობა ჩვენს პროექტში. უნდა

აღინიშნოს, რომ 100-მდე სკოლამ გამოთქვა სურვილი, ჩართულიყო ჩვენს პროექტში



რაც, რა თქმა უნდა, თავის მხრივ მისასაღმებელია. პროექტი ორი წელია რაც არსებობს, დებულების თანახმად, იგი ტარდება ორ ტურად – სარაიონო და საქალაქო. გათამაშდა ორი გარდამავალი პრიზი, პირველი პრიზი დაწე-




სებულია ინტელექტუალური ცოდნის გამოვლენისათვის, ხოლო მეორე – საუკეთესო მუსიკალური ნომრის წარმოდგენისათვის. პროექტის მიზანია, ბავშვებმა, ცოდნასთან ერთად, თავიანთი თავი წარმოაჩინონ შემოქმედებითი კუთხითაც.

პროექტის დებულების თანახმად, ინტელექტუალური ვიქტორინა-თამაში არის გუნდური,


შედგება 9 მონაწილისაგან, რომელსაც ჰყავს კაპიტანი, გუნდს აუცილებლად შერჩეული აქვს სახელი და აცვიათ შესაბამისი ფორმა.

პროექტის მონაწილეებმა გამოავლინეს საგნობრივ დისციპლინებში ცოდნის მაღალი დონე და ასევე წარმოადგინეს სხვადასხვა მწერლების ნაწარმოებების ლიტერატურული ინსცენირება. ასე მაგალითად, უნდა გამოვყოთ „ივერიის“ კერძო სკოლის მიერ წარმოდგენილი



„ივერიის“ მოსწავლეებმა.

ქ. თბილისცბ სარაიონო შეჯიბრებაში რაიონებში I ადგილი დაიკავეს: მრავალპროფილიანი კერძო სკოლა „ივერიამ“, საპატრი-



არქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლამ მე-2, 83-ე, 137-ე, 175-ე, 183-ე საჯარო სკოლებმა. მე-II და მე-III საპრიზო ადგილები კი წილად ხვდათ თბილისის 26-ე, 62-ე, 51-ე, 59-ე, 97-ე, 130-ე, 25-ე, 154-ე, 120-ე საჯარო სკოლებს.

საქალაქო შეჯიბრებაზე საპრიზო ადგილები



ალექსანდრე ყაზბეგის „ხვეისბერი გოჩა“ და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, მე-9 და 49-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, 120-ე საჯარო სკოლის მიერ დადგმული გიორგი ლეონიდის „ფუფალა“, მე-2 საჯარო სკოლის მიერ – ვაჟა-ფშაველას „სათაგური“, 83-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების – ქართული ხალხური ზღაპარი „კომბლე“, 113-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების

„ბოლო ზარი“ და ა.შ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ საკუთარი ძალებით შექმნილი სცენარი და წარმოდგენილი მუსიკალურ-ლიტერატურული მონტაჟი „ადამიანის დაბადება და გარდაცვალება“, რისთვისაც მათ მუსიკალურ ნომერში გამარჯვებულის გარდამავალი პრიზი დაიმსახურეს. ხოლო ინტელექტუალურ თამაშში თამაშში გარდამავალი პრიზი უკვე მეორედ მოიპოვეს მრავალპროფილიანი კერძო სკოლის

ასე გადაწინადა: I-ლი ადგილი მოიპოვა კერძო სკოლა „ივერიამ“, II ადგილი – 175-ე საჯარო სკოლამ, სოლო III ადგილი თანაბარი ქულებით ორმა სკოლამ დაიკავა: 83-ე საჯარო და საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის სკოლამ.

მიგვაჩნია, რომ ჩვენმა პროექტმა თავისი მისია შეასრულა, რადგან ეს იყო ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი მოსწავლეთა ასალგაზრდობის წიგნთან დაახლოებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მათი შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის.

## „მოცარტიანა – 2013“

# თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში

(ქალბატონა მოცარტის გარდაცვალების 222 წლისთავს)

ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა (გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე) ხშირად მართავს უაღრესად საინტერესო შეხვედრებს მკითხველებთან.

ამ ღონისძიებების დედაზრი მდგომარეობს მკითხველთა, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობის სწორად აღზრდაში, წიგნისადმი სიყვარულის გაღვივებაში, სიკეთის, სიმართლის, პატიოსნების, სიყვარულის და, რაც მთავარია, ადამიანური ღირსებების ჩამოყალიბება-პატივისცემაში.

ქალბატონი ციალა კალმახელიძისადმი დაქვემდებარებული სამსახურები ეხმარება და მხარს უჭერს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის – უნმინდესი და უნეტარესის ილია მეორის მნიშვნელოვან მოწოდებას საზოგადოების მიმართ, მათი წიგნისადმი დამოკიდებულების მნიშვნელობის შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ახლახან შედგა ქ. თბილისის №24 საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებთან.

ამ ღონისძიების პროექტი „მოცარტიანა“ – 2013 შედგება მრავალი ნაწილისაგან და თითოეულის მომზადება-რეალიზებაში მონაწილეობით მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლები (საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, მუსიკალური განყოფილება, დარბაზი და სხვა) – ქეთევან სულაძე, პედაგოგი ტატიანა შათირიშვილი, მოსწავლეები: ნიკა სვანიძე, კოტე ნადარეიშვილი, ნანი ჭოლარია, ლანა კაციტაძე, ქეთი ჩაჩხიანი, ქეთი ტყეშელაშვილი, მარი აბრამიშვილი და სხვანი.

მოსწავლეები და სხვა მკითხველებიც ძალზე დააინტერესა ღონისძიების როგორც პრაქტიკულმა, ისე თეორიულმა ნაწილმა, რომელსაც გათავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით.

### „სამეფო არაყი“ და „სალიერის სინდრომი“

ძვირფასო მკითხველო, არსებობენ ადამიანები და მათთან დაკავშირებული ისტორიები, რომელთა დავიწყება ძნელი კი არა, შეუძლებელია.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანია გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, რომლის გარდაცვალებიდან სულ მალე ძალზე შთამბეჭდავი 222 წელი სრულდება. (111 წელი შესრულდა 1902 წელს, 333 წელი შესრულდება 2124 წელს და ა. შ.). ამ თარიღთან დაკავშირებით ბიბლიოთეკას ესტუმრა ჩვენი ყურნალის ერთგული მკითხველი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს

ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო და სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნის“ პროფესორი, გამომგონებელთა მსოფლიო ასოციაციის წამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ბატონი ნიკოლოზ მუმლაძე, რომელმაც დღევანდელი გადასახედიდან გაიხსენა გენიალური კომპოზიტორის სიცოცხლის უკანასკნელი სიტუაციები და იმ ბოლო წუთებში შექმნილი მისი უბრუნებელი და ალბათ, ერთადერთი და უიშვიათესი ამ ჟანრის შედეგის რეკვიემის სახით.

ნიკოლოზ მუმლაძე –

მრავალი საუკუნის წინათ „სამეფო არაყი“ მთელი სამეფო დინასტიები ისპობოდა, „სალიერის სინდრომი“ კი დაკავშირებულია გენიალური კომპოზიტორის – მოცარტის სიკვდილის წინ, მის მიერ მსოფლიო მუსიკალური შედეგის რეკვიემის შექმნასთან (1791 წ.).

ერთიც და მეორეც ხილული სამყაროს განუყოფელი ნაწილია, იმ განსხვავებით, რომ პირველი – „სამეფო არაყი“ მატერიალურია და კონკრეტული, ხოლო მეორე – „სალიერის სინდრომი“, იგივე „ბოროტი სული“ – არამატერიალური და ზოგადი.

„სამეფო არაყი“ – ყოველგვარი ცოცხალი წამიერად კვდება, ხოლო მეტალები წამიერად დნება. ამ ხსნარით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთმანეთის მიყვლებით საიქიოში გზავნიდნენ დედოფლებსაც და მეფეებსაც, ღამაზებებსაც და ნიჭიერებსაც, მაგრამ ჩვენს დროშიც თუ ამგვარი რამ მოხდებოდა, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან გამიკვირდებოდა, არა და...

სულ რამდენიმე კვირის წინ მოსკოვში დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელს, ნიჭიერ და სიმპატიურ ახალგაზრდა ხელოვანს სერგეი ფილინს, თავისი სახლის წინ, ის-ის იყო ავტომანქანის სადგომზე დაყენებული მანქანიდან რომ გადმოვიდა, ვიღაცა კაცმა დაუძახა და მოხედვისთანავე მინის ქილიდან რაღაც სითხე შეასხა სახეში. გონწასული ფილინი დაეცა, ბოროტმოქმედი კი მოჩვენებასავით მაშინვე მიიმალა. კაცს ეკეთა შავი ნიღაბი და მოცმული ჰქონდა შავი მოსასხამი. უცბად გამახსენდა მოცარტისა და სალიერის ურთიერთობის ისტორია და, რა თქმა უნდა, გენიალური რეკვიემის შექმნის წინა მომენტი. „სალიერის სინდრომი“ – გამიელვა თავში, იქაც იგივე ატრიბუტიკა ფიგურირებდა, არ იყო მხოლოდ „სამეფო არაყი“ ანუ სასიკვდილო ხსნარი, რაც შეცვლილი იყო ბოლმითა და შურით.



„სალიერის სინდრომი“ – ეს არის შურის, ბოროტი სულის, ეგოისტი კაცის – სალიერის, შავ ნილაბში და მოსასხამში გამოცხადება, რაც მოცარტს აიძულებდა, სიცოცხლის ბოლო წუთებში შეექმნა მსოფლიო მუსიკის უდიდესი შედეგები რეკვიემის სახით.

აქ, ერთი შეხედვით, თითქოსდა არაფერი ხდება, სიკვდილის წინ კომპოზიტორმა დაწერა ნანარმოები, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოცარტის გენიით დაჩრდილულმა ბოლმიანმა და შურიანმა საიმპერატორო კარის კომპოზიტორმა სალიერმა ისარგებლა რა მოცარტის უნუგემო ფსიქიკური, ოჯახური და ფინანსური მდგომარეობით, სასიკვდილოდ განწირულ, ლოგინად ჩავარდნილ გენიას – 1791 წელს (მოცარტის სიკვდილის წელია) აიძულა გროშების საფასურად ანონიმური პირის (ვინმე გრაფ-ვალზეგ შტუპპახის სახელით) შეკვეთით დაეწერა თავისი გედის სიმღერა, გენიალური რეკვიემი, ეს ანონიმური პირი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო ნილაბსა და შავ სამოსში გადაცმული სალიერი.

სასიკვდილო აგონიაში მყოფ, უგონო, გულწასულ მოცარტს ასულიერებს საბედნიეროდ სტუმრად შემოსწრებული მისი ერთგული მოწაფე ზიუსმარი, მოცარტი სთხოვს მას, ნოტებზე გადაიტანოს მის მიერ ნაკარნახევი მელოდია, (დაახლოებით 4 ფურცელი), მოწაფეც წამებში უსრულებს თხოვნას, რაც იმას მოასწავებდა, რომ დასრულდა მსოფლიოს უდიდესი გენიის, ასევე უდიდესი და უკანასკნელი ნანარმოები – მისი გედის სიმღერა – რეკვიემი, მაგრამ მოცარტმა ისევ დაკარგა გონება, მოწაფე ისევ შეეცადა მის მოსულიერებას, ჰოი, სასწაული! მომაკვდავმა კომპოზიტორმა ისევ გაახილა თვალი და შევედრა მოწაფეს, დაწერილი პარტიტურა გადაეცა შავ ნილაბსა და მოსასხამში მოსულ გრაფ-ვალზეგ შტუპპახისათვის, ხოლო საფასური, საცოდავი გროშები კი – მისი ოჯახისათვის.

როგორც კი თვალცრემლიანმა მოწაფემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მოცარტმა უკვე მესამედ, ამჯერად უკვე სამუდამოდ დაკარგა გონება. ასე დასრულდა 1791 წელს, ცივ, სუსხიან 5 დეკემბერს, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მსოფლიოს უდიდესი კომპოზიტორის, გენიალური ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის სიცოცხლე, რომელიც სულ რაღაც 35 წელს შეადგენდა.

რაც შეეხება მოცარტის ანდერძს, იგი მოწაფემ ზუსტად შეასრულა. სალიერი დაეუფლა, მიითვისა და უმაღლვე ააჟღერა თავისი სახელით რეკვიემი, იგი ფიქრობდა, რომ ამას ვერავინაც ვერ გაიგებდა, მაგრამ მოწაფემ ხომ ყველაფერი იცოდა, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“ – ჩვენში რომ იტყვიან, ასე მოხდა.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა სერგეი ფილინის საქმეზე: როგორც გაირკვა (მრავალი ქიმიური ანალიზის შემდეგ), სახეზე შესხმული სითხე „სამეფო არაყი“ არ გამოდგა, თუმცა მისი ერთ-ერთი კომპონენტი კი იყო.

საქმე იმაშია, რომ „სამეფო არაყი“, იგივე თეზატი, არის მარილმჟავასა და აზოტმჟავას ნაზავი, მოყვითალო, ძალზე მძაფრი, სუნიანი, მბოლავი ხსნარი. აქვს ძლიერი დამუხანგველი თვისება, რაც გამოწვეულია ქლორის მომენტალური გამოყოფით. აი ამ თვისების გამო მასში იხსნება თითქმის ყველა მეტალი, მათ შორის ოქროც (აქედან წარმოსდგა ალქიმიკოსების შერქმეული სახელი „სამეფო არაყი“, რომელნიც თვლიდნენ, რომ ოქრო არის ყველა მეტალის მეფე), გამონაკლისია ვერცხლი, რუთენიუმი და ირიდიუმი.

საკმარისია „სამეფო არაყი“ გაიფრქვეს ოთახში, რომ იქ შესვლა სიცოცხლისათვის დიდი ხნის მანძილზე საშიშია. გადატანაც ძალზე სახიფათოა, რადგან მიდის რა რთული ქიმიური რეაქციები, სახუფი ხშირად ვერ იცავს ჭურჭელს და ხსნარი იფრქვევა გარეთ.

ნებით თუ ნებლიედ, ფილინის დამზიანებელმა ეს გაითვალისწინა და იხმარა არა სუფთა „სამეფო არაყი“, არამედ მისი ერთ-ერთი კომპონენტი აზოტმჟავა, რომელიც ჩვეულებრივ ავტომანქანების აკუმულატორებში იხმარება.

ათასგვარ გამოვლინებას შეენიერნენ მსოფლიო ხალხთა საუკეთესო შვილები: 19 წლის ფრანგი ჟანა დარკი (1431 წ.), იტალიელი ჯორდანო ბრუნო (1600 წ.), ოლივერ კრომველი (1658 წ.), ილია ჭავჭავაძე (1907 წ.), ამერიკელი ჯონ და რობერტ კენედები (1963, 1968 წ. წ.), ამერიკელი აბრაამ ლინკოლნი (1865 წ.), მარტინ ლუთერ კინგი (1968 წ.), ქეთევან წამებული (1624 წ.), გიორგი სააკაძე (1629 წ.) და უამრავი სხვა. ალბათ, მიხვდებოდით, რომ ესენი ყველანი (გარდა დიდი მეცნიერისა, ჯორდანო ბრუნოსი) მსოფლიოს პოლიტიკური კატაკლიზმების მსხვერპლნი იყვნენ.

**რედაქციისაბან:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელს სრულდება გენიალური მოცარტის გარდაცვალებიდან 222 წელი. დარწმუნებულნი ვართ, რომ წლები მის ხსოვნას კიდევ უფრო დიდ ბრწყინვალეებას მიანიჭებს, იმიტომ, რომ თავის ხელოვნებაში იგი მუსიკის ჰანგებით ებრძოდა ბოროტებას. გენიალური კომპოზიტორი თავის მოკლე, მაგრამ დიადი სიცოცხლის გზაზე მხოლოდ სიკეთესა და სინათლეს თესავდა.

## გულნარა სტურუა

# კადრები, მათი მნიშვნელობა ბიბლიოთეკის მართვაში

ბიბლიოთეკის მართვა საკმაოდ რთული ხელოვნებაა, რომელიც ხელმძღვანელისაგან მოითხოვს განსწავლულობას, ერუდიციას, საბიბლიოთეკო მუშაობის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული საკითხების ცოდნას. იმისათვის, რომ ამ ცოდნას დაეუფლო, აუცილებლად საჭიროა ბიბლიოთეკატმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და მისი მოსაზღვრე დისციპლინების, როგორც მეცნიერებათა დარგების არსებობა ქვეყანაში, რათა ბიბლიოთეკის ნებისმიერმა მუშაკმა აკადემიურად შეისწავლოს საბიბლიოთეკო დარგი. მით უფრო, ასეთი ცოდნა აუცილებელია მმართველისთვის. საბიბლიოთეკო საქმე რომ მართო, აუცილებლად უნდა იყო კომპეტენტური, უნდა იცოდეს ბიბლიოთეკის ყველა უბნის როლი, მიზანი, მისია, დანიშნულება, უნდა ფლობდეს დარგის ახალ ტექნოლოგიებს. ბიბლიოთეკის მართვის კადრებია: სპეციალისტები, რომელთაც მინდობილი აქვთ ბიბლიოთეკის სხვა მოსამსახურეთა მუშაობის ხელმძღვანელობა და მათი შრომის ორგანიზაცია. ესენია:

1. ხელმძღვანელები- ადმინისტრაციული აპარატის მუშაკები (დირექტორი, მოადგილეები, სტრუქტურული განყოფილებების ხელმძღვანელები.

2. სპეციალისტები, ანუ ბიბლიოთეკის განყოფილებების მთავარი სპეციალისტები, რომლებიც მართავენ ტექნოლოგიურ პროცესებს, ან უკავიათ მეთოდურ მუშაობასთან დაკავშირებული მოვალეობები..

3. მმართველობის დამხმარე მუშაკები (მდივნები და სხვა)

მმართველობითი კადრის ასეთი დაყოფა პირობითია, რადგანაც იგი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად რაციონალურად არის ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში სამუშაო დაყოფილი.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ეს არის პირი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ბიბლიოთეკის განყოფილებებს, ფილიალებს, სექტორებს და ბიბლიოთეკის მთელ პერსონალს. ფლობს მაკონტროლებლურ, გამწესრიგებლურ და დისციპლინალურ უფლებებს. აქვს განსაზღვრული პასუხისმგებლობა. უფლებამოსილია მიიღოს და განახორციელოს ის მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომელიც მის სამართავ ობიექტს ეხება. ბიბლიოთეკა ვერ იარსებებს ხელმძღვანელის გარეშე, რადგანაც მხოლოდ ის უზრუნველყოფს განახორციელოს ბიბლიოთეკის ძირითადი მიზანი და დანიშნულება, აყალიბებს მოქმედების სტრატეგიას, არის მთავარი საინფორმაციო რგოლი. წარმოადგენს თავად ბიბლიოთეკას, პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მუშაობის შედეგებზე. მაგრამ

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული საქმეები არ გვანან ერთმანეთს, რადგანაც სხვადასხვა ბიბლიოთეკები მმართველობის სხვადასხვა სახეობებს იყენებენ მუშაობაში.

სამართავ ობიექტზე დამოკიდებულებით მიღებულია, რომ გამოვყოთ ხაზობრივი (თუ რეგულარული, ან წრფივი, ) ხელმძღვანელები, რომლებიც საერთო ხელმძღვანელობას უწევენ ამა თუ იმ სამართავ ობიექტს და ფუნქციონალური, რომლებიც მეთაურობენ (ხელმძღვანელობენ) მმართველობის რომელიმე ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფ ფუნქციონალურ განყოფილებებს და სამსახურებს.

მმართველობის დონეზე დამოკიდებულებით განასხვავებენ მართვის უმაღლესი რგოლის მმართველებს, ხელმძღვანელებს (დირექტორი, მოადგილე); და მართვის საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს ( ხაზობრივი და ფუნქციონალური ხელმძღვანელები ანუ განყოფილებების გამგეები). მმართველობის დაბალი რგოლის მმართველები -ესენი არიან სექტორების, ჯგუფებისა და ფილიალების გამგეები.

ბიბლიოთეკის დირექტორი ანუ ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი დამფუძნებელთა წარმომადგენელია, ის ასრულებს თავის ფუნქციას ერთმმართველობის უფლებით და მოქმედი კანონმდებლობით, ახორციელებს ბიბლიოთეკის მართვას. არის ბიბლიოთეკის მწარმოებლურ-შემოქმედებითი შრომის ორგანიზატორი. განაგებს ფინანსურ საშუალებებს, ხსნის სხვადასხვა ანგარიშებს, ადგენს ბიბლიოთეკის ხარჯთაღრიცხვას, სტრუქტურას, სამტატო განაკვეთებს, სამუშაო გეგმას. ხელს აწერს დირექტიულ და ნორმატიულ დოკუმენტებს. აყალიბებს ადმინისტრაციულ აპარატს. განსაზღვრავს სამოქმედო სფეროს, თანამშრომლების უფლებებს და მოვალეობებს. პასუხისმგებელია მთლიანად ბიბლიოთეკის მუშაობაზე, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, მასზე გადაცემული (მიბარებული) ოპერატიული მართვის საკუთრების დაცვაზე და მის გამოყენებაზე რაციონალურად, მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებით. იღვწის კოლექტივის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. იღებს ზომებს კვალიფიციური კადრებით ბიბლიოთეკის უზრუნველსაყოფად. მონაწილეობს მათი მიღებისა და განთავისუფლების საკითხებში. თანამშრომელთა შრომის სტიმულირებისათვის იყენებს ამა თუ იმ ზომებს. ხელს უწყობს სხვა ბიბლიოთეკებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და სამეცნიერო ორგანიზაციებთან

ბიბლიოთეკის ურთიერთობას. ბიბლიოთეკის დირექტორს მოეთხოვება კონტროლი წარმოებით და შრომით დისციპლინაზე. უსაფრთხოებისა და ხანძარდამცავი ტექნიკის დაცვაზე.

ბიბლიოთეკის განყოფილების (სექტორის) გამგე ხელმძღვანელობს სტრუქტურულ განყოფილებებს, რომლებიც ბიბლიოთეკის შემოქმედებით მუშაობაში ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას. ორგანიზებას უკეთებს მიმდინარე და პერსპექტიულ სამუშაო გეგმების შედგენას და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას. აწარმოებს განყოფილების (სექტორის) მუშაობის ანგარიშს, შეისწავლის სამამულო და საზღვარგარეთული მონინავე ბიბლიოთეკების შრომის გამოცდილებას. ანალიზებს და ამზადებს წინადადებას ამ გამოცდილების გამოყენებისათვის.

ბიბლიოთეკის ფილიალის გამგე ხელმძღვანელობს უწევს ფილიალის მომხმარებლებს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო მომსახურებაში. ამუშავებს პერსპექტიულ და მიმდინარე მუშაობის გეგმებს, აწარმოებს ფილიალის მუშაობის ანგარიშს. უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას ინდივიდუალური და მასობრივი ფორმებით. თანამედროვე ტექნოლოგიებით, საცნობო-ბიბლიოგრაფიული აპარატით. ბიბლიოთეკათ-შორისო და დაუსრულებელი აბონემენტების ფუნქციონირებით, ლეზულობს მონაწილეობას ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტებაში. ფილიალის გამგე ვალდებულია შეისწავლოს სამამულო და საზღვარგარეთის ბიბლიოთეკების მუშაობის ორგანიზაცია, მათი გამოცდილება გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

## სვეტლანა გვასალია

მკითხველი

# ამაღლებული წუთები

ქალაქ ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მკითხველებს ეწვევს სალაცია ლიტერატურა კაფემ უმასპინძლა, სადაც მისივე ლექსთა კრებულის „სულის ფსკერიდან ცის გუმბათისკენ ანუ უსათაუროების“ პრეზენტაცია გაიმართა.

უწმინდესისა და უნეტარესის, კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ყოველი შაბათი წიგნის კითხვის დღედ გამოცხადდა. ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მესვეურებმა (მთ. სპეციალისტი ლუიზა ცანავა) გადაწყვიტეს ერთ-ერთ შაბათს საზოგადოებისთვის პოეზიის მადლით ამაღლებული წუთები შეეთავაზებინათ, სურვილი საქმედ იქცა 6 ივლისს, პოეზიის მოყვარულებს ლიტერატურულ კაფეს სალამოზე მიგვიწვიეს.

იმ დღეს ეწვევს სალაცია ლიტერატურისა და ლექსის სიყვარულმა გააერთიანა იქ დამსწრე საზოგადოება. თავშეყრის მიზეზი იმ გზისა და იმ სულიერი სამყაროს ზიარება იყო, რომელიც ეწვევს სალაცია სახელთან, მის პოეზიასთან ასოცირდება და რომელშიც ნათლად იკვეთება პოეტის საკუთარი ხელწერა, ყველა დროის შესაფერისი აზრთა, გრძნობათა, განწყობილებათა მრავალფეროვნებით.

ლონისმიებამ ორ საათას გასტანა და ეწვევს სალაცია პოეზიის სამყაროში გვამოგზაურა, რომელიც ამაღლებული სიყვარულის, წრფელი და ვაჟკაცური, მეგობრობის,

სულიერი რაინდობის საგალობელია.

სალამო საინტერესოდ მიჰყავდათ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს: ქრისტინე ფარცვანიას, დოდო კაკულიას. მკითხველებს: თემურ ალანიას, თამარ კვიციანიას, მაკა ჯგერენიას, თამუნა კვეცივესკირს. პოეტის ბიოგრაფია და წიგნის მოკლე მიმოხილვა გაგვეცნო კულტურის ცენტრის დირექტორმა, პოეზიის ტრფიალმა ბეჟან ნადარაიამ.

სალამოზე მონვეული იყვნენ ადგილობრივი ეკლესიის მესვეურები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ბატონი ენვერის მეგობრები, პოეტი ლაშა გვასალია, აქტიური მკითხველები, პოეზიის მოყვარული ყველა თაობის წარმომადგენლები.

ლონისმიება მეტად საინტერესოდ წარიმართა, ერთმანეთს ცვლიდა ლექსი და სიმღერა. შინაარსიანი და საინტერესო იყო ლაშა გვასალიას გამოსვლა პოეზიის დანიშნულებაზე და, საერთოდ, ქართულ თანამედროვე პოეზიაზე. მან საკუთარი ლექსით მიულოცა პოეტს წიგნის პრეზენტაცია. ასევე საკუთარი ლექსით მიესალმა ავტორს ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველი თემურ ალანია.

ამ დღეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეძლეს ხობელი პოეზიის მოყვარულთათვის ეჩუქებინათ შინაარსიანი, ლამაზი, სიტბოთი და სიყვარულით სავსე, პოეზიის მადლით გაბრწყინებული, ამაღლებული წუთები.



ენო ნოზაძე

## წიგნს – ჩვენი სიყვარული

თანამედროვე ტექნოლოგიების დროშიც კი ყველა ერთხმად აღიარებს, რომ წიგნი განათლების გავრცელების საუკეთესო და შეუცვლელი საშუალებაა. ინტერნეტის, კომპიუტერისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში წიგნი და, ზოგადად, ბეჭდური პროდუქცია სულ უფრო მეტ ღირებულებას იძენს. ადამიანის უპირველესი მეგობარი წიგნი უნდა იყოს, ამასთან, უნდა ვისწავლოთ წიგნის არა მარტო შეფასება, არამედ მისი დაცვაც.

ა.ი.პ. აკაკი წერეთლის საჩხერის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი რეგულარულად ივსება ახალი ლიტერატურით, ვლენულობთ პერიოდულ გამოცემებსაც. სწორედ ამის შედეგია ყოველდღიურად მკითხველებით სავსე სამკითხველო დარბაზი და საცავი. ბიბლიოთეკაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიება: წიგნის პრეზენტაციები, ლიტერატურული საღამოები, დაწესებულება ინფორმაციის დღე. გვაქვს მრავალფეროვანი დარგობრივი კარტოთეკები. დიდი ხანია, ტრადიციად დავამკვიდრეთ და მოზარდთა დაინტერესება გამოიწვია სხვადასხვა სახის ვიქტორინა-კონკურსებმა. გამარჯვებულები

ჯილდოვდებიან სამახსოვრო საჩუქრებითა და ქების სიგელებით. ვთანამშრომლობთ რაიონის საჯარო სკოლის დირექციებთან. ტარდება დამატებითი გაკვეთილები ბავშვებთან, ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური სპეციალისტები: ზურაბ თურმანიძე, ქეთევან კაპანაძე, მზია დეკანოიძე და სხვ. ეწყობა ტრენინგები სოფლის და სკოლის ბიბლიოთეკარებთან მათთვის სპეციალიზებულ საკითხებზე. გვაქვს პროექტი: „100 უდიდესი ქართველი“. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ტარდება ლექციები.

პატრიარქის მოწოდება – „მინდა შაბათი დღე წიგნის დღედ დავანესო“ – ბიბლიოთეკამ აიტაცა და შაბათი დღე სამუშაო დღედ გამოაცხადა. ამასთან, ყოველი კვირის ოთხშაბათი და პარასკევი ბიბლიის კითხვის დღედ დანესდა.

ასე რომ, საჩხერის ბიბლიოთეკაში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მკითხველთა მოთხოვნები, შევურჩიოთ სასურველი ლიტერატურა და მივანოდოთ ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

## „მე ახლა ლექსებით ვსხოვრობ...“

2013 წლის 28 ივლისს ა.ი.პ. აკაკი წერეთლის სახელობის საჩხერის ბიბლიოთეკა მასპინძლობდა შესანიშნავ ქალბატონს, პოეტ ნათელა ხარაიშვილს. ღონისძიებას უძღვებოდნენ საბავშვო განყოფილების სპეციალისტები იზო მაჭარაშვილი და თამუნა თოდაძე.

29 ნელზე მეტია, პოეტი ნათელა ხარაიშვილი საწოლს არის მიჯაჭეული და მას შემდეგ პირდაპირ გოლგოთის გზაზე დგას და ასე მიაქვს ცხოვრების მძიმე ჯვარი. იგი პატარა სარკმლიდან უყურებს სამყაროს გამჭრიახი თვალითა და გონებით. გასაოცარია და შესაშერი მისი სულის სიმტკიცე. ნებისყოფა და სიცოცხლისუნარიანობა, რომელიც მთელი სისრულით გამოჩნდა ამ ღონისძიებაზე. იგი არის ძალიან ფაქიზი სულის პიროვნება თავისი პრობლემებით. მისი ცხოვრების მეგზური პოეზიაა, რომლითაც სულის ტკივილებს მკურნალობს. ის ნუგეშს პპოეებს ლექსებში და აქვე დასძენს, რომ „უსიცოცხლო სიცოცხლე არ მწამსო“ და ამ სულისკეთებით მიიწევს წინ. მრავალმხრივია მისი ნიჭის დიაპაზონი და ამოუწურავია შესაძლე-

ბლობები. მისი საოცრად ჩვილი გული საესეა სიყვარულით. უყვარს ყველა და ტკივა ქვეყნის ტკივილი.

პოეტის ლექსები გულში ჩამწვდომად და დიდი ოსტატობით წაიკითხეს ელენე და ნინო ლაშხებმა, ნინო მოდებამ, ხატია მაჭარაშვილმა, მარიამ კუპატაძემ, ქეთი ფალავანდიშვილმა.

ღონისძიებაზე დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია ქ-ნ ნათელას ლექსებზე შექმნილმა სიმღერებმა ფოლკლორული ანსამბლის „ორნეტის“ შესრულებით (ხელმძღვანელი გელდი ციმაკურიძე).

პოეტს გულწრფელი სიტყვებით მიმართეს: ბერიკა დეკანოიძემ, ზურაბ თურმანიძემ, ქეთევან ფალავანდიშვილმა, იზო მაჭარაშვილმა. ბიბლიოთეკის დირექტორმა მარინე აბრამიშვილმა მადლობა გადაუხადა ქ-ნ ნათელა ხარაიშვილს და მოწვეულ სტუმრებს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და დასძინა, რომ უფლის წყალობით შედგა ეს საღამო, რომელიც ნათელი გამოვლინებაა რწმენის სიმტკიცის, ნიჭის ზემის და სიყვარულის მარადიულობისა.

კორესპონდენციები

ნიკო ჭალიკა

სოფ. გომარეთის ბიბლიოთეკის გამგე


ტრადიციად დაგვიდრებული სიასლა



გომარეთი ერთ-ერთი უძველესი სოფელია დმანისის მუნიციპალიტეტში. აქაური საეკლესიო, საკულტო არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ნივთები და ძველი წარწერები ნათლად მეტყველებს სოფლის მიდდარ ისტორიულ წარსულზე. გომარეთი ამ მხარეში ოდითგანვე ცნობილი იყო მაღალი კულტურით, სამონასტრო ცხოვრებითა და ქართული ტრადიციებისადმი ერთგულებით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პირადად ექვთიმე თაყაიშვილის აქტიური მცდელობით სოფელში 1897 წელს დაარსდა სკოლა. სკოლაში გაკვეთილებს სმირად ატარებდა იაკობ გოგებაშვილი, აქვე მოღვაწეობდა ხალხოსანი მწერალი ზაქარია გულისაშვილი, რომელსაც ზედმინეწით საფუძვლი ანად აქვს შესწავლილი გომარეთი და მისი მიდამოები.

გომარეთობა, როგორც სოფელთა საყოველთაო დღესასწაული, დაწესდა და ყოველწლიურად აღინიშნება 1985 წლიდან. ყოველწლიურად 5 ივნისს სულთმოფენობის დღესასწაულზე იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, მუსიკალური ნომრები, წიგნებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენები. გომარეთობაზე ჩამოდიან სხვაგან მაცხოვრებელი თანასოფლელები. მიმდინარე წელს გომარეთმა უფრო ფართო მასშტაბით აღნიშნა ღონისძიება, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ. ბარბაქაძე, პარლამენტის წევრი ა. ოქრიაშვილი. გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები, კულტურისა და განათლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივთა ხელსაქმის ნიმუშები, მოსწავლეებმა შეასრულეს სხვადასხვა სახის მუსიკალური ნომრები.



**ეთერი თაყნიშვილი**  
ქ. თბილისის მე-11 საჯარო  
სკოლის ბიბლიოთეკარი

# სტუმრად ბიბლიოთეკაში

ამავე სახელწოდების ღონისძიების იდეის ავტორები იყვნენ მე-2-6 კლასის მოსწავლეები. ისინი ხშირად სტუმრობენ ბიბლიოთეკას, კითხულობენ, ეძებენ საინტერესო ავტორთა ნაწარმოებებს. ამჯერად საკუთარი შემოქმედების ნიმუშები წარმოადგინეს მოსწავლეებმა თ. ფიჩხნარაშვილმა, გ. დოლიძემ, ნ. ჯიმშიტაშვილმა, ა. გორგუაშვილმა და თ. გობეჯიშვილმა. მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული მწერლობის, ნიგნებისა და ქართული დამწერლობის გზებსა და პერსპექტივებზე. მოსწავლეებმა პროფესიულ დონეზე და დიდი მონდომებით შეადგინეს ლიტერატურ-



რული ჟურნალი „დედა ენა“. ჟურნალში შეიტანეს დედა ენის შესახებ საკუთარი ლექსები და



გამონათქვამები. ჟურნალის დიდი ინტერესით გაეცვინენ უმცროსი კლასის მოსწავლეები. ღონისძიება გახსნა დირექტორის მოადგილემ ლ. კვარაცხელიამ, რომელმაც დადებითად შეაფასა ბავშვთა ინიციატივა, აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა აამაღლებს მათი ნიგნიერების დონეს.

ღონისძიება მოამზადეს მშობლიური ენის პედაგოგმა ნ. ნიაურმა და ბიბლიოთეკარმა ე. თაყნიშვილმა.

# მნიშვნელოვან ღონისძიებათა ნაკადში




ა. ნ. 31 აგვისტოსა და პირველ-ორსექტემბერს ბათუმში ჩატარდა მასშტაბური საქალაქო ღონისძიება „ბათუმობა-2013 – ბათუმი და ბათუმლები“. პროგრამა მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით იყო გაჯერებული – ღონისძიების გახსნა, დახურვა, ბიუსტებისა და მემორიალური დაფის გახსნა, გამოფენები, ფესტივალები, სპეციალურად ამ ზეიმისათვის მიძღვნილი სპეცტაკლები, კონცერტები, ექსკურსიები, დისკუსიები, შეხვედრები და სხვ. თითქმის მთელი ქალაქი „ბათუმობით“ სუნთქავდა. არაერთმა ორგანიზაცია-დანესებულებამ და სასწავლებელმა მიიღო მასში მონაწილეობა. მათ შორის გამოირჩეოდა აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (დირექტორი გენო მახარაძე).

სამი დღის განმავლობაში ბიბლიოთეკის ვესტიბულში ტარდებოდა ნიგნის ფესტივალი (გამოფენა-გაყიდვა). მკითხველები ეცნობოდნენ ბიბლიოთეკის რარიტეტულ სიმდიდრეს – უძველეს ნიგნებსა და პერიოდულ გამოცემებს. აქვე გამოტანილი იყო მსოფლიოს და ქართველი კლასიკოსების, აგრეთვე თანამედროვე მწერლების, მეცნიერებისა და მოღვაწეების უახლესი გამოცემები. არაერთმა დამსწრემ შეიძინა მისთვის საინტერესო ნიგნი და თავისი კერძო ბიბლიოთეკა გაამდიდრა. ზოგიერთ ნიგნს საჩუქრად ურიგებდნენ მკითხველებს.

ბიბლიოთეკის დარბაზში გამოფენილი იყო თემატური და ახალი ნიგნების გამოფენები, რომლებიც შთამბეჭდავად აღიქმებოდა დამთვალიერებლების მიერ. ამ დღეებში ბიბლიოთეკა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ გამარულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ სტუმრად ჩამოსული თუ ადგილობრივი მცხოვრებლები – მცხოვანი მოღვაწეები, ახალგაზრდები, მოსწავლეები. იმართებოდა სახელდახელო დისკუსიები, ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

განსაკუთრებით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, გვინდა დავასახელოთ მკითხველთა შეხვედრა, ცნობილ ბათუმელ მოღვაწესთან, საპატიო ბიბლიოთეკართან, ამ ბიბლიოთეკის ყოფილ ხელმძღვანელ ეთერ





ცივაძესთან მკითხველთა შეხვედრა, რასაც საფუძვლად დაედო მის შესახებ გამოქვეყნებული წიგნი „იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“, რომელშიც მოცემულია ამ შესანიშნავი მოქალაქის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დეტალები. ამ წიგნის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ადრე ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“.

წიგნის განხილვას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის მუდმივი, აქტიური მკითხველები, წიგნის მოყვარულები, სხვადასხვა რაიონიდან და ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრები. ღონისძიებას განსაკუთრებულ ელფერს სძენდა დამსწრეთა შორის მოსკოვიდან ჩამოსული იქ მოღვაწე მეცნიერების - რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის - აკადემიის პრეზიდენტის სწავლული



მდივანის, პროფ. ასლან ცივაძის - ქალბატონ ეთერის ძმის, და აკადემიკოს ვლ. ხომერიკის. მეტად საინტერესო იყო მათი მოსაზრებები წიგნის შესახებ. არაერთმა დამსწრემ თავის გამოსვლაში მაღალი შეფასება მისცა ხსენებულ გამოცემას და აღიარა ამგვარ გამოცემათა შორის ამ წიგნის ორიგინალობა, ის დიდი ინტერესი, რომლითაც ის მკითხველებს შორის სარგებლობს.

ბიბლიოთეკის დირექტორის გ. მახარაძის შესავალი სიტყვის შემდეგ ღონისძიებას გაუძღვა ბიბლიოთეკის განყოფილების ხელმძღვანელი მანანა სულაბერიძე. მათ პროფესიულად გააშუქეს წიგნის პერიპეტიები, ილაპარაკეს იმ ღირსებებზე, რაც ამ გამოცემას ახასიათებს. როგორც გამომსვლელთა სიტყვებიდან ჩანდა, მკითხველთა დიდი ნაწილი უკვე კარგად იცნობს ამ წიგნს.

გახსნას წინ უძღოდა მერიასთან არსებული სიმღერისა და მხატვრული შემოქმედების ანსამბლის გამოსვლა ცნობილი მოღვაწის გურამ აბულაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მაღალოსტატურად შეასრულა „მრავალფამიერი“, რითაც გამოხატა ღონისძიების საზეიმო განწყობილება. ვიდრე უშუალოდ წიგნს შეეხებოდნენ,



წინასწარ ნაჩვენები იყო სლაიდები ე. ცივადის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე ფოტომასალა წიგნიდან.

მსმენელებმა ყურადღებით მოისმინეს აკადემიკოს ასლან ცივადის გამოსვლა, რომელმაც მაღლიერებით მოიხსენია წიგნის ავტორ-შემდგენელი პროფ. შუშანა ფუთკარაძე, რომელიც ობიექტური მიზეზით ღონისძიებას ვერ ესწრებოდა. გამომსვლელმა ბევრი საინტერესო დეტალი შეახსენა მსმენელებს წიგნიდან დარამდენიმეახალი, ჯერ უცნობი ამბით გაამდიდრა მასალა ე. ცივადის შესახებ. ასევე საინტერესო იყო აკადემიკოს ვ. ხომერიკის გამოსვლა, რომელსაც მიაჩნია, რომ წინაპართა ღვაწლის შეხამება ანმეოსთან ეს კარგი მომავლის საწინდარია.

სიტყვით გამოვდინენ: პოეტი ცისანა ანთიძე, ექიმი ავთანდილ დიასამიძე, ქალაქის ვიცე მერი ნათია სურგულაძე, მეცნიერები ავთანდილ ბეჟანიძე და სიმონ შარაძე, წიგნის რედაქტორი ალექსანდრე ლორია.

მეტად შთამბეჭდავი იყო კომპოზიტორისა და პოეტის ინგა გოგუაძის გამოსვლა. ეს იყო ერთგვარი მხატვრულსიტყვაობის ნიმუში გიტარის თანხლებით; ამგვარად გამოეხმაურა ის ქალბატონ ეთერს, რითაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წიგნის

წარდგენა და განხილვები ბათუმის ა. წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში საკმაოდ ხშირად ტარდება და ის მკითხველთა დიდი ყურადღებით სარგებლობს. აქ „ბათუმობის“ დღეებში კიდევ გაიმართა ერთი საინტერესო ღონისძიება – ახალი წიგნის პრეზენტაცია, რომელიც აკადემიკოსმა ვ. ხომერიკმა წარმოადგინა. ეს არის ამ ბოლო ხანს რუსეთში გამოქვეყნებული ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანთა კრებული რუსულ ენაზე. წიგნმა დიდი ინტერესი აღუძრა ქართველ მკითხველებს. დარიგებული წიგნების რაოდენობა საკმარისი არ აღმოჩნდა ყველა მკითხველის დასაკმაყოფილებლად.

ყურადღება მიიქცია აგრეთვე ხელოვნების ცენტრში ცურთაველის „შუშანიკის წამებისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ძველი გამოცემების გამოფენამ, აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ გამოცემების გამოფენამ, რომელიც რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო. წიგნიერების საკითხები ფრაგმენტულად შუქდებოდა აგრეთვე სხვადასხვა ინტელექტუალურ ღონისძიებებზე. მაგალითად, კონფერენციაზე – „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“, რომელიც ამავე უნივერსიტეტში შედგა. არაერთ შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებაზე იყო საუბარი წიგნებზე, რომელშიც ასახული იყო ბათუმის ისტორიული ქრონიკები და ძველი ფოტომასალა.

ნიშანდობლივია ის, რომ ეს საზეიმო-სადღესასწაულო ღონისძიებები მრავალ შემთხვევაში იკვეთებოდა სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებთან. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა წიგნებს და მათთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოწმობს, რომ წიგნი და ბიბლიოთეკა ჩვენს საზოგადოებაში კვლავ რჩება პრიორიტეტად საზეიმო-შემეცნებით ღონისძიებებში.

სწორედ ამით იყო მკვეთრად გამორჩეული წლევანდელი „ბათუმობა“ – ეს დიდი საზეიმო ღონისძიება – რაც იმედით აღავსებს ჩვენს საზოგადოებას.



## მარიამ თათიშვილი (გარიყული) - 130

მარიამ გარიყულის შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართველი ერის ისტორიული გზის გასაყარიდან იღებს სათავეს, იმ დროიდან, როცა ერთი დიდი ეპოქა დასრულდა, მეორე კი მხოლოდ დაიწყო, თუმცა დიდად განსხვავებული ჩანდა ეს ეპოქები. შენაცვლების პროცესებს კი უკიდურესობები თან სდევს, უარყოფის პათოსი, მტკივნეული დანაკარგები, მაგრამ გარდაუვალი გამოხატულება. რევოლუცია ყველგან და ყველაფერში, მათ შორის მწერლობაშიც, რომელიც ყოველივე პროგრესულის კანონიერი მემკვიდრე გახლდათ. ეს თავიდანვე აშკარად იგულისხმებოდა, თუმცა ყველასთვის ნათელი მხოლოდ თანდათან, მეტნაკლებად უფრო გვიან გახდა. მარიამ გარიყული იმ ქარბორბალაში აღბათ უფრო ადამიანური გუმანით (და არა თეორიული განსწავლულობით) გრძნობდა და ხედავდა ამ ორი ეპოქის უწყვეტ კავშირს, სწორედ ამ ახალ ეპოქაში უნდა შექმნილიყო მისი ნაწარმოებები. მწერალს ახლის შეგრძნების ალლოც არ ღალატობდა. მისი სათაყვანებელი მწერლების ბეჯითი შეგირდი, არც დროით მოტანილ სიახლეებს უცხოობდა. ტიცციან ტაბიძემ მაქსიმ გორკის მიმდევრად დაასახელა მიხეილ ჯავახიშვილი და მარიამ გარიყული. მისი მოთხრობების სათაურებიც გვარწმუნებს ამაში. „ცხოვრების მსხვერპლი“, „ბორკილი“, „ჩვეულებრივი ამბავი“, „ღარიბთა ქერქვეშ“, „იმ დღესაც“, „ჟამიანობა“, „შინ კი მოელოდნენ“. მწერალს ჰქონდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო სიუჟეტები არა მყვირალა, ეფექტური დაბოლოებებით, არავითარი პათეტიკა და გარეგანი მღელვარება, მხოლოდ მისი მრწამსი. როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შეურიგებელი



მოძულე იყო ძალმომრეობის, იგი იყო დემოკრტი მწერალი. მისი წერის ენაც იყო უბრალო, სადა მინდვრის ყვავილივით. მწერალი დიდი პასუხისმგებლობით ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს. სიღარბაისლე, მყარი ეროვნული შეგნება, რაც ძველი ნივთების სურნელივით თან სდევს მათ გახსენებას – ასეთი პიროვნება გახლდათ

მარიამ გარიყული, – იხსენებდა გურამ ასათიანი. ასეთი პორტრეტი ნათლად იხატება მთელ მის შემოქმედებაში. ბევრი ჩვენგანი ჩაუფიქრებია მარიამ გარიყულის ფსევდონიმს, რომელიც ფრთებშეკვცილ რევოლუციამდელ უუფლებო ქალის მწარე ბედს გამოხატავდა, მაგრამ მის ნაწარმოებებს ნაზიარები თაობები მას არასოდეს თვლიდა გარიყულად. თავად მწერალი თავის ფსევდონიმს თეატრიდან წასვლით ხსნიდა.

მარიამ ლუკას ასული თათიშვილი დაიბადა დასავლეთ საქართველოს სოფელ გუბში 1883 წ. მწერლის მამა ხალხური მელექსე გახლდათ; დროგამოშვებით იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე „გუბელის“ ფსევდონიმით. ცალკე წიგნად გამოცემული იყო პოემა „სიყვარული“, რომელიც იმ დროს დიდი პოპულარულობით სარგებლობდა.

მწერლობის ნიჭი მარიამს მამისაგან გამოჰყვა. ქუთაისის ქალთა სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ ოჯახი დედაქალაქში გადასახლდა. საზოგადოებაში საკუთარი ადგილის ძიებამ მარიამ გარიყული ქართულ თეატრში მიიყვანა.

ქართული თეატრი იმ დროს ეროვნული ტრიბუნა იყო და ვისაც კი სამშობლოს სიკეთე და მომავალი აინტერესებდა, ბუნებრივია, იქით მიისწრაფოდა. ამ მხრივ

ქართველი საზოგადოება, როგორც ყავარჯენი, ისე ედგა გვერდში მიძიმე მდგომარეობაში მყოფ ქართულ თეატრს. სწორედ იმ დროს მივიდა მარიამ გარიყული თეატრში, მიზნის მიღწევაში მას ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი მარიამ დემურია დაეხმარა. იგი ჩარიცხეს თეატრის დასში, იმ დროს თეატრს ნაკლებად ჰყავდა ქალის როლის შემსრულებელი. თეატრალურ სამყაროში მოხვედრამ უაღრესად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ახალბედა მსახიობის შემდგომ ინტელექტუალურ განვითარებაზე. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის მარიამი უკვე სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა. ოცდაორი წლის ასაკში პირველ მოთხრობებს აქვეყნებს და ოჯახსაც ეკიდება, მან სამშობლოს ხუთი შვილი შესძინა. თან ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა

1901 წელს მარიამს ქუთაისის თეატრში ინვევენ, იქ მან სამი წელი დაჰყო. პარალელურად იწყებს ლიტერატურულ საქმიანობას. ილიას, აკაკის, ნინოშვილის ნაწარმოებების პიესებად გადაკეთებას ახდენს, წერს საკუთარ ესკიზებს, პატარ-პატარა მოთხრობებს. მოთხრობაში „ჯაშუში“ რეალური ამბები აქვს აღწერილი, თავად ნანახი და განცდილი. ეს მოთხრობა 1907 წელს ცალკე წიგნად გამოიცა და მაშინვე აიკრძალა ხელისუფლების მიერ, ვერც მშფოთვარე და დაძაბულმა ცხოვრებამ (ერთს კი არა, რამდენიმე ადამიანსაც რომ ეყოფოდა), ვერც გადატანილმა უბედურებებმა (ქალიშვილი გარდაეცვალა, უფროსი ვაჟი კი სამამულო ომს შეენირა) ვერ გატეხა ეს დიდი ნებისყოფის ადამიანი. ვერ ააღებინა ხელი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

1912 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა მისი მოთხრობა „სარდაფში“, ამ მოთხრობაში ქართველი დაჩაგრული მშრომელი ხალხის ცხოვრების სურათი გადმოსცა. ზოგი ფიქრობდა, რომ მარიამ გარიყულის სასცენო მოღვაწეობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ეს სინამდვილეს არ შეეფერება, მას ამ სარბიელზე გარკვეული წარმატება ჰქონდა, მაგრამ, როგორც მისმა შემდგომმა მოღვაწეობამ

ნათელყო, სამწერლო ასპარეზი ელოდა, სადაც მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი. მარ-

იამ გარიყულის სამწერლო დებიუტი ემთხვევა 1905 წლის რევოლუციის დღეებს. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქვეყნდება მისი პირველი მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლი“ მოთხრობაში „ჩინოვნიკი“ ფრაგმენტულად, მაგრამ ლაკონურად ჩანს სოციალური უსამართლობა, რომლის მსხვერპლნიც ხდებიან მოთხრობის პერსონაჟები.

1906 წელს დაიბეჭდა „ბორკილი“, 1907 წელს – „ახალი მასწავლებელი“, „ჰონორარი“, აგრეთვე ცალკე წიგნად ისტამბება ცარიზმის მამხილებელი მოთხრობა „ჯაშუში“, მიუხედავად იმისა, რომ მეფის ცენზურამ წიგნი გამოსვლისთანავე აკრძალა, იგი უმაღვე გავრცელდა იმ დროის ყველა მოთხრობაში: „ჯაშუში“, „ცხოვრების მსხვერპლი“, „ჩვეულებრივ ამბიდან“, „სოფლის მსუნაგები“ და სხვ.

მწერალი თავს ავლენს როგორც ხალხის მოსარჩელე, რომელიც გაბედულად ასახავს სოციალური ჩაგვრის სურათებს. საერთოდ, მისი შემოქმედება ქართველი ხალხის იმ საუკუნის ცხოვრების ამსახველი სარკეა - ყოველ ნაწარმოებს ახასიათებს გულითადობა, ჰუმანიზმი, ბრძოლისა და შრომის პათოსი. მის ნაწარმოებებს შორის თავისი სიმკვეთრით გამოირჩევა: „ჩვეულებრივი ამბავი“, „ბორკილი“, „ჩინოვნიკი“, „სოფლის მსუნაგები“, „ღმერთად მონამე“, „ია“, „ზამაბხი“, „ყვავილთა ქვეყანა“ და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლებას ორმოცი წლის ასაკში შეეგება. განვითარების

ახალმა ისტორიულმა პროცესმა ძირფესვიანად შეცვალა მხატვრული

გამოსახვის ფორმები, განსაკუთრებით ეს ცვლილებები შესამჩნევი გახდა პროზაში. მან შექმნა მთელი რიგი ნოველებისა და მოთხრობებისა: „უსინათლო ალექსა“, „დონა“, „ნანიკო“, „ერთი ღამის ამბავი“, „ცოლ - ქმარი“, „მეგობრები“ და სხვ.

1930 - 1933 წლებში დაწერილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე

მნიშვნელოვანია რომანი „ანარეკლი“, ამ რომანში მწერალმა საბჭოთა ცხოვრების ყოფითი ჩვევების და წესების წარმოჩენა და დამკვიდრება ასახა. ასეთია მისი ნაწარმოები „ტრაქტორისტები“, რომელსაც ავტორმა შემდეგ სათაური შეუცვალა და „ახალი განთიადი“ უწოდა. ახალგაზრდებში მწერა-



ლი მაღალ მორალურ საწყისებს ნერგავდა. სამშობლოს სიყვარულს, პატრიოტულ აღზრდას. 1933 - 1937 წლებში დაიბეჭდა რომანი „გარდევული მიჯნა“. შემდგომ ის 1960 წელს თავიდან გამოიცა. მარიამ გარიყული ზნეობრივად გამოკვეთილი, სულიერად მტკიცე, მეტად მოძრავი, საოცრი შრომისუნარიანი და მრავლისმომსწრე ადამიანი იყო.

მარიამ გარიყულის პერსონაჟები სინამდვილიდან აღებული ცოცხალი სახეებია. იგი თემების მოსაპოვებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა. დადიოდა მაღაროებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რათა თავისი თვალთ ეხილა ადამიანთა წარმატება - წარუმატებლობები. შეულამაზებლად შექმნა მკითხველში ინტერესის აღმძვრელი ნარკვევები: „ჩვენი შაქარი“, „ლაითურის მეურნეობა“, „ქუთაისის პირველი ქარხანა, „ბახვის მეურნეობა“, „თელავის ძაფის ქარხანა“, „ძველი და ახალი ჭიათურა“, „ტყიბული“, „ვანელი კოლმეურნეები“, „რკინიგზის მთავარი დეპო“, მან შექმნა მემუარული ნაწარმოები „განვლილი გზა“ - რომელიც გამოჩენილი და ცნობილი მწერლების და საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებას ასახავს. ამ წიგნს შემეცნებითი, იდეურ - აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ვის არ შეხვდებით ამ გახმაურებულ ნაწარმოებში. ილიას გვერდით ეროვნულ - განმანთავისუფლებელი იდეებისათვის მებრძოლ ქალთა მედროშეს ე. გაბაშვილს, რევოლუციის მომდერალ ირ.ევდოშვილს. სცენის ტიტანებს: ლ.მესხიშვილს, ვ. გუნიას, ვ. აბაშიძეს, ნ. ჩხეიძეს, პოეზიის დიდ-

ბას გ. ტაბიძეს, ბრძენ მ. ჯავახიშვილს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „განვლილი გზა,“ იმ დიდად მღელვარე ეპოქის ეპოპეა. მარიამ გარიყულს მხოლოდ ეს ნაწარმოები რომ დაეწერა, ამითაც დაიკავებდა საპატიო ადგილს მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში. სანიმუშო თავმდაბლობით არის მოთხრობილი მწერლის ცხოვრებაზე, გულწრფელი სიყვარულით არიან გაცოცხლებულნი მწერლის თანამედროვენი და მეგობრები: მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, ალბათ იმიტომაც, რომ მან თავად იცოდა უანგარო და გულმხურვალე მეგობრობა.

მწერალი აქტიურად მუშაობდა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურაშიც. ჯერ კიდევ „ნაკადულსა“ და „ჯეჯილში“ აქვეყნებდა ნაწარმოებებს, რომლებიც შემდეგ ერთ წიგნად გამოიცა.

„ჩვენი მარიამი“ - ასე შეარქვა გალაკტიონმა და ეს სახელი შერჩა სამუდამოდ, რადგან იგი მართლაც მთელი არსებით ეკუთვნოდა ყველას და ყველაფერს, ვინც და რაც კი მისი მშობლიური ქვეყნის და ხალხის სიკეთესთან იყო დაკავშირებული, „მგოსანი წრფელი ადამიანია, რომელსაც მართებს ცხოვრებაში უყვარდეს ერთხელ და გარდუვლად!“ - ეს სიტყვები მისი პირველი ნაწარმოებიდანაა (ესკიზი „ნარგიზის ფიქრი“). მან ეს მცნება ერთგულად ატარა. „ჩვენი მარიამი“ თავისი ცხოვრების მანძილზე არასოდეს ყოფილა გარიყული და არც მისი სახელი გაირიყება ქართული მწერლობიდან.

მარიამ გარიყული გარდაიცვალა 1960 წ. თებერვალში თბილისში.

### გამოყენებული ლიტერატურა

- გვერდნითელი გ. შორეული და ახლობელი. - თბ., 1985.  
 გომართელი თ. არასოდეს დაიბნდება. - თბ., 1992.  
 ჩიხლაძე ნ. ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები. - თბ., 1990.  
 მ. გარიყულის მნიშვნელოვანი გამოცემები: მ. თხზულებანი: ტ. 1-2. - თბ., 1967-1968.  
 განვლილი გზა. [მოგონებანი და მოთხრობები] - თბ., 1949.  
 ჯამუში: თანამედროვე მოთხრობა. - ტფ., 1907.  
 უსინათლო ალექსი და სხვა მოთხრობები: წიგნი პირველი. - თბ.; 1928.  
 მოთხრობები - ტფ.,  
 განვლილი გზა. - თბ., 1949  
 მოთხრობები. თბ., 1947.  
 ტრაქტორისტები: მოთხრობა. - თბ., 1951.  
 განვლილი გზა: მოგონებანი. - თბ., სახელგამი, 1955.  
 მოთხრობები. - თბ., 1957.  
 მამაცი ცქეიტა: მოთხრობები სკოლამდელთათვის / ა. ბელიაშვილის წინასიტყვაობით/ - თბ., 1961.



იური სიხარულიძე

# დაუპიწყარი

17 წლის ქალიშვილი ბრძანდებოდა ზემოური გურული აზნაურის შვილი პელაგია შარაშიძე, როდესაც ბედმა თავის საქმროს, სასულიერო წოდების პირს – ალექსანდრე სვიმონის ძე ბერძენიშვილს (1850–1900) შეახვედრა.

შარაშიძეებს ცოტა კი გაუჭირდათ მღვდლის შთამომავლისათვის ქალის მიცემა, მაგრამ ბოლოს მაინც ალ. ბერძენიშვილმა გაიმარჯვა და 1874 წელს ქორწინებაც შედგა.

იმ დროს 24 წლის ალექსანდრე ჯერ კიდევ მამისეულ სახლში ცხოვრობდა თავისი სოფლის (გოგოლესუბნის – ჩოხატაურის უბანი, ოზურგეთის მაზრა) დასაწყისში, რომელსაც „საყდრის ყელი“ ერქვა. ძმები (ანტონი და ექვთიმე) უკვე გასული იყვნენ სამო სახლიდან, მაგრამ აზნაურის ასულს მაინც ევინროებოდა ეს შუაცეცხლის ძველებური სახლი და ისიც ცალკე ცხოვრებას ესწრაფოდა.

ამის წინააღმდეგი არც მისი მეუღლე გახლდათ, მაგრამ განცალკევება არ იყო ადვილი.

ასე იყო თუ ისე, ალექსანდრემ დატოვა „საყდრის ყელი“ და უფროსი ძმის (ანტონი) კვალად ნაშენის უბანს დაადგა თავალი.

კარგი ადგილები ამ უბანში უკვე დაკავებული იყო და ალექსანდრეც იძულებული გახდა, მდ. ლაფრანას მარჯვენა სანაპიროთი დაკმაყოფილებულიყო.

მდინარის პირი მინის ნოყიერებით არ დაინუნებოდა, მაგრამ სინესტის სიჭარბე აუფერულდება ალექსანდრეს საკარმიდამოს ღირსებას.

რა ექნა, როცა უკეთესი იმჯერად არსად ჩანდა და მოახალშენეც დროებით უნდა შერიგებოდა ბედს.

სახლი რომ აშენდა, ალექსანდრეს პირმშო ძე (არსენი) უკვე ჰყავდა (დაიბადა 1875 წ.) ხარობდა მშვენიერი მემკვიდრით, მაგრამ თურმე ასე არ ფიქრობდა წუთისოფელი და რამდენიმე წელიწადში გამოსტაცა ხელიდან ვაჟი.

მეხის დაცემას ჰგავდა ეს ტრაგედია, მაგრამ სიცოცხლე მაინც გრძელდებოდა და 1880 წელს ბერძენიშვილებს ისევ ვაჟი (ნესტორი) შეეძინათ.

ნესტორმა ჯერ ბათომის სამოქალაქო სასწავლებელი დაამთავრა, ხოლო შემდეგ – ხარკოვში უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო.

1884 წელს პელაგია შარაშიძემ და ალექსანდრე ბერძენიშვილმა ასულის დაბადებაც იზიემეს.

ასულს პარასკევა (პასიკო) დაარქვეს და ღირსეულადაც აღზარდეს. ეს შესანიშნავი ქალიშვილი, ასევე შესანიშნავი პიროვნების (ეპიფანე სიხარულიძე) მეუღლე გახდა. მათ ჩინებული მემკვიდრეობაც დაგვიტოვეს.

1887 წელს კიდევ ერთი ვაჟი (კონსტანტინე) იშვა ბერძენიშვილების ოჯახში.

კ. ბერძენიშვილი ადრე ოზურგეთის სამოქალაქო

სასწავლებელში სწავლობდა; შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე; სპეციალობის მიღების შემდეგ წარმატებით იღვწოდა თბილისის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლული მდივნის თანამდებობაზე;

ბერძენიშვილების ოჯახისათვის განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა 1890 წელი – გარდაიცვალა ალ. ბერძენიშვილი – ოჯახის მამა, ხოლო ორიოდე თვის შემდეგ – 28 დეკემბერს, ძვ. სტ. გაჩნდა ვაჟი – ნიკოლოზი, რომელიც შემდეგ საბოლოოდ ქართული საისტორიო მწერლობის მამამთავრად იქცა.

ქმრის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ოჯახის გაძლოლის მთელი სიმძიმე მის ქვრივს დაანვა მხრებზე, მაგრამ არ გატეხილა და თავისი შვილების საარაკო წარმატებებსაც მოესწრო.

თავისი ცხოვრების პირველ პერიოდში პ. შარაშიძე მეტწილად სოფლად ცხოვრობდა და დიასახლისი გახლდათ. მხოლოდ ერთხელ, 1893 წლის სექტემბრის დამდეგს მიეცა საშუალება ადგილობრივი სკოლის ბიბლიოთეკისათვის მიეხედა. სულ რამდენიმე თვეს დაჰყო მან სკოლაში ბიბლიოთეკარად, მაგრამ ისე გონიერად და ნაყოფიერად იღვანა, რომ სამაგალითო მოღვაწის სახელი დაიმკვიდრა.

პ. შარაშიძე დიდად კმაყოფილი იყო მოსწავლეებთან მუშაობით და მალე მათთან განშორებას არც ისურვებდა, მაგრამ უმცროსი შვილის (ნიკოლოზის) ფეხის სნეულება ამის საშუალებას აღარ აძლევდა.

ერთხანს ეგონა, რომ სოფლის ექიმბაში (კელურაძის ქალი) სძლევდა ამ სენს, მაგრამ ეს არ მოხდა და ახლა ბათომელი ექიმების იმედით ცოცხლობდა. იქ აპირებდა შვილის ნაყვანას.

1894 წლის იანვარში დედაშვილი ბათომს ჩავიდნენ და იქაური შეძლებულ მოქალაქეს პ. შარაშიძის უმცროს მაზლს ექვთიმე, ბერძენიშვილს (1857–1935) ეწვიენ.

ექვთიმემ კეთილად მიიღო რძალი და ძმისშვილი და საავადმყოფოშიც არ აკლებდა ყურადღებას, მაგრამ ექიმთა ცდებს დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

შინ დაბრუნებულ ქალბატონ პელაგიას ისევ თხოვეს დაბრუნებულიყო სკოლაში, მაგრამ ახლა ის მთელი არსებით შვილის სნეულებით იყო გულმოკლული და სამსახურში გასვლის შესაძლებლობა არ გააჩნდა.

პ. შარაშიძეს ამ ერთი გასვლით არ დაუმთავრებია შვილის მკურნალობაზე ზრუნვა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და ასე გულმკვდარი აღესრულა 1945 წელს.


დაკრძალულია თბილისში.



ინფორმაცია

**ბრძნობათა გაცემის გამოხატულებით**

მიმდინარე წელს საგამომცემლო სახლ-მა „ემ-ჰი-ჯიმ“ გამოსცა ალექსანდრე ლორიას ორი ტრაგიკომედია: „როგორ მოვკლათ სოკრატე“ და „ღმერთი ჩვენი მწყალობელი“, რომლებიც გაერთიანებულია ერთი საერთო განმარტავადებული სათაურის ქვეშ – „ღმომილსა და მწუხარებას შორის“. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნაწარმოებები შეიცავს როგორც კომიკურს, ისე ტრაგიკულ სიტუაციებს. როგორც ნიგნის ანოტაცია გვამცნობს, პიესები ეძღვნება „მორალურ-ზნეობრივ და ესთეტიკურ-ეთიკურ თემატიკის მხატვრულ დამუშავებას. „როგორ მოვკლათ სოკრატე“ – ალეგორიული ხერხების გამოყენებით ხელოვნებაში უხეში ძალების ჩარევისა და კონიუნქტურის წინააღმდეგ გამოდის... მეორე პიესაში – „ღმერთი ჩვენი მწყალობელი“ – ნაჩვენებია პიროვნების მძიმე ცხოვრება არსებულ სოციალურ ფონზე. ერთმანეთს უპირისპირდება სიკეთე – ღმერთის სახით და ბოროტება – ფულის სახით“.



უტეებზეა აგებული, დაძახებულ მოვლენებთან ერთად, ნაწარმოებებში მრავლად ვხვდებით ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და ეთიკურ, აგრეთვე ზნეობრივ პრინციპების წარმოჩენის ფაქტებს. მიუხედავად დრამატურგიული ფორმისა, ნაწარმოებები ჩვეულებრივ, იკითხება როგორც საინტერესო თხრობითი თხზულებები.

ნიგნის რედაქტორია ეფემია ლორია. გამოცემას წამძღვარებული აქვს ავტორის წინასიტყვაობა, რომლის გაცნობა მკითხველს გაუადვილებს საკმაოდ რთულ და მრავალფეროვან მოქმედ პირთა შესახებ წარმოდგენის შექმნასა და შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ნიგნი შეიცავს 176 გვერდს და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კორექტურულ შეცდომას, განსაკუთრებით პირველი ნაწარმოების ფარგლებში. დრამატურგიის მოყვარული და დაინტერესებული პირები ინტერესით გაეცნობიან საკმაოდ რთულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომელსაც ავტორი გვთავაზობს.

ორივე ნაწარმოები საკმაოდ მძაფრ სიუ-

**ახალი ლექსების კრებული**

მურად მიგრიაულის პოეტური შემოქმედება ჩვენი ყურნალის მკითხველებს დიდი ხანი არაა, რაც ყურნალის ფურცლებიდან გავაცანით. მურადი პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელია. ამ დაწესებულების ყველა მოვლენის მომსწრე და მონაწილე, მისი გულშემატკივარი და მოყურადე. დღეს ის უკვე მეორე კრებულის ავტორია – „წუთი წამისა“, რომელიც მიმდინარე წელს გამოსცა ჯგუფმა „სიესტამ“. რედაქტორია თამარ გელოვანი; შეიცავს 114 გვერდს; წამძღვარებული აქვს პოეტ გიორგი კეკელიძისწინასიტყვაობა. მასში მოკლედაა დახასიათებული მურად მიგრიაულის



ეს კრებული. წინასიტყვაობის ავტორი დადებითად აფასებს ამ გამოცემას და დასძენს: „მურად მიგრიაული ჩვენი დროის ერთ-ერთი ნიჭიერი ავტორია, რომელიც ფოლკლორული სალექსო საზომებზე დაყრდნობით თანამედროვე თემებს ამუშავებს... მისი შემოქმედება ერთდროულად სადაა და ამავედროულად დამაფიქრებელი... ავტორი ზედმიწევნით კარგად იცნობს ქართულ კლასიკურ ლიტერატურას, იმ თემებსა და განწყობებს, რაც სხვადასხვა მიმდინარეობას ახასიათებდა“...

თანამედროვე პოეზიის მოყვარულნი ინტერესით გაეცნობიან მ. მიგრიაულის პოეტურ კრებულს – „წუთი წამისა“.


# რუსი ბიბლიოთეკათმცოდნის შრომა ნაშრომი

იური სტოლიაროვი, რუსი ბიბლიოთეკათმცოდნე და დოკუმენტოლოგი, ფართოდაა ცნობილი არა მარტო რუსეთის საბიბლიოთეკო საზოგადოებრიობისათვის, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბიბლიოთეკო წრეებშიც. ქართველი მკითხველი მას იცნობს ორი მეცნიერული სტატიის მეშვეობით. პირველი შეეხება წიგნისა და კითხვის სიმბოლოებს „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო მეორე სტატია ეხება ასევე წიგნთან და კითხვასთან დაკავშირებულ

ტერმინის წარმოშობის ეტაპებს – მოყოლებული ანტიკური პერიოდიდან. თანამედროვე ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ტერმინი „დოკუმენტი“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იგი აღნიშნავს საბიბლიოთეკო ფონდის დაცვის ერთეულს, ახლებურად გაიგება: როგორც ტრადიციულს, ისე თანამედროვე ინფორმაციის წყაროებს. დოკუმენტალოგია, ავტორის განმარტებით, არის მხოლოდ ზოგადი მეცნიერება დოკუმენტის შესახებ. ავტორი მეცნიერული თანმიმდევრობითა და გულმოდგინებით განიხილავს წიგნს, როგორც დოკუმენტს, რომელსაც უპირატესი ადგილი უკავია ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებში. ნაშრომში ასევე წარმოადგენილია ელექტრონული დოკუმენტის ვრცელი დახასიათება. დოკუმენტი, ავტორის განმარტებით, არის მატერიალური ობიექტი, საიდანაც ვლებულობთ საჭირო ინფორმაციას. ტერმინი „დოკუმენტი“, ასევე ასახავს საბიბლიოთეკო ფონდების ყველა სახეობისა და ტიპის ცალკეულ ნაწილსაც. წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ელექტრო-მატარებლები, აუდიო-ვიზუალური საშუალებები და ა. შ.

ნაშრომის ერთი ნაწილი ეხება ბელგიელი მეცნიერის, ბიბლიოგრაფისა და დოკუმენტალისტის პოლ ოტლეს (1868–1944) ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის ძირითად თარიღებს. ქართველი მკითხველთათვის პოლ ოტლე ცნობილია როგორც უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის (უაა) შემქმნელი, როგორც ცნობილია, მან 1895 წელს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ ყრილობაზე განავრცო მ. დუის ათწილადი კლასიფიკაცია, დაამატა რა მას მსაზღვრელები და, ამრიგად, მიიღო უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც ამჟამად გამოიყენება მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში, როგორც საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის საფუძველი.

ი. სტოლიაროვის შემოდასახელებული ნაშრომი რეკომენდებულია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტებისათვის. წიგნი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს საბიბლიოთეკო დოკუმენტების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის პროცესებით დაკავებულ სპეციალისტებს; არანაკლებ საინტერესოა იგი დოკუმენტოლოგიის სპეციალისტთათვის.



ცნებებს ქართულ ფოლკლორში. ორივე ნაშრომი გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომებში. ჩვენმა ჟურნალმა, მკითხველებს გააცნო მათი რეფერატები. ახლახან ი. სტოლიაროვმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადმოსცა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევა „Документология“ – Орёл, 2013. ნაშრომში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს დოკუმენტის, როგორც ცნებისა და

# ღვანლის ამსახველი წიგნი (გ. თაყნიაშვილის ბიოგრაფიული მონაგრო)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის სახელდებით მიმდინარე წელს გამოქვეყნდა თვალსაჩინო ბიბლიოთეკათმცოდნისა და ბიბლიოგრაფის, საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი სპეციალისტის, შესანიშნავი მეთოდისტისა და კონსულტანტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნობისა და სტანდარტიზაციის განყოფილების ხელმძღვანელის, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორის მოადგილისა და მდივნის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის წევრის გურამ თაყნიაშვილის ბიოგრაფია, სერიით – გამოჩენილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნეები. შემდგენლებია მზია ტოგონიძე და ნუნუ აბუაშვილი, რედაქტორები – ალექსანდრე ლორია და ციალა კალმახელიძე, ბიბლიოგრაფიული რედაქცია ეკუთვნის ნინო ქავთარაძეს, რეცენზია – მანონ ხორავას. წიგნი დაიბეჭდა საგამომცემლო სახლში „ემ-პი-ჯი“.

წიგნს წამძღვარებული აქვს ალექსანდრე ლორიას წინათქმა, რომელსაც მოსდევს შემადგენელი ნაწილები: გურამ თაყნიაშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი თარიღები როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენებზე; შემდეგ მოცემულია: გ. თაყნიაშვილის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ცალკეულ გამოცემათა ქრონოლოგიური ნუსხა, მხატვრული შემოქმედების ნიმუშების, სამეცნიერო

სტატიების, პუბლიცისტური სტატიების, რედაქტირებული და რეცენზირებული წიგნების, აგრეთვე გ. თაყნიაშვილის შესახებ არსებული სტატიების ჩამონათვალი

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მთავარი  
ბიბლიოთეკა


გურამ თაყნიაშვილი  
ბიბლიოთეკოგრაფია



თბილისი  
2013

ბიბლიოგრაფიული სტანდარტული აღწერილობათა სახით.

მოცემული წიგნი მაღალპროფესიულ დონეზეა შედგენილი და გამოცემული. შეიცავს 36 გვერდს. იგი ამომწურავად ასახავს ღვანლმოსილი სპეციალისტის მოღვაწეობას.




# ქართული ენისა და სასულიერო პირთა სადიდახელი

პოეტისა და ხატმწერის ცირა ბულაშვილის ბოლო დროინდელი პოეზიის ნიმუშები ჭეშმარიტად ღვთიური სხივითაა ნათელფენილი. მათი ნაკითხვისას არ შეიძლება არ დაგეუფლოთ სულიერი ძლიერებისა და მამულის სიყვარულის განცდა. მისი ლექსები ქართული ანბანისა და ქართული ენის შესახებ დაწერილია ჭეშმარიტად პატრიოტული სულისკვეთებით და იმის

სწვდება ღალადის“. პოეტი ხოტბას ასხამს ქართულ ანბანს: „სალოცავ ხატად მეგულვი, უფლის რჩეულო ანბანო, ან და მარადის კიაფობ, ღვთიურო ცვარო ერისავ“. პოეტი დარწმუნებულია, რომ ქართულ ანბანს ანგელოზები ჰფარავენ, რომ ქართულ ანბანს კურთხევა ერგო ზეციდან. წიგნს დაერთვის პატრიარქის გამონათქვამებიდან ამოღებული ბრძნული აზრები.

მეორე, ასევე მცირე მოცულობის, მაგრამ ჭეშმარიტად სულიერი ტკივილით დაწერილი ნაშრომი ეძღვნება ან გარდაცვლილი მამა გიორგი ბასილაძესთან ამაღლვებელ შეხვედრას. ავტორი დამაჯერებლად აღწერს წმინდანის ცხოვრებას და მოღვაწეობას



შეგნებით, რომ ერის ეს ღირებულებები მარადიულია ქართველი კაცისათვის. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი მიძღვნილ ლექსების კრებულში „სათქმელით მოგეთოვები“. პოეტი უმდაბლესი მოკრძალებით მიმართავს ერის სულიერ მამას: „სხივო სიმართლისა, მსახურო უფლისო, პაპათა ხმა გესმის ცრემლგადანამულო, აღგვავსე დიდებით ბრძენო მესაჭეო, ტაძართა გუმბათს ხმა

ცირა ბულაშვილი

აღზევება



სულიერ

ბის ცალკეულ ეპიზოდებს. ჩვენი დროის ერთ-ერთი მადლმოსილი ღვთისმსახურის სულიერი ცხოვრება და ქადაგება აღსავსეა სიკეთის, ქველმოქმედებისა და ჭეშმარიტი რწმენის პათოსით. კრებულში დაბეჭდილი

ლექსები „უფლის სამეფო“, „მე შენ გეკუთვნი“, „სამშობლოს იარები“, „ანბანთქება“ და მამა გიორგი ბასილაძისადმი მიძღვნილი „სამადლობელი“ ჭეშმარიტად სულისშემძვრელი, გულწრფელი ლოცვითაა აღვლენილი.

„ბერო, ბერმუხავ, მთის ძლიერებავ, ცას მიაწვდინე ლეგენდად თქმული, სამშობლოს ბედი, ფიცად დათქმული“. მამა გიორგისთან პოეტის შეხვედრა ამ მცირე მოცულობის, მაგრამ გრძნობით აღსავსე კრებულში გადმოცემულია სამშობლოს სიყვარულით შემკული ეპიტეტებითა და წმინდა ქართული სახისმეტყველებით, რაც უდავოდ მიუთითებს ავტორის ჭეშმარიტ რწმენასა და მამულის სიყვარულზე.


მესამე კრებული „აღზევება სულისაი“, ეძღვნება სასულიერო პირს მამა გიორგი პავლოვს. საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგი წმინდის ეკლესიის წინამძღვის მამა გიორგისადმი მიძღვნილ ლექსებსა და მასთან შეხვედრის შთაბეჭდილებებში გულწრფელადაა გამოხატული ამ პირისადმი ღრმა სიყვარული და პატივისცემა, მოკრძალება და იმედით აღსავსე სიტყვები. ლექსში „ლოცვა მოძღვნისა“ ცირა ბულაშვილი ეფერება და მდაბალი საღმრთო მიმართავს მოძღვრის, კაცს – „კლდედ დამდგარსა რჯულზე“. მამა გიორგი, როგორც არს მეტყველი მოძღვარი, თავისი ცხოვრებითა და უფლისმიერი ღვაწლით მისაბაძია არა მარტო მრევლის, არამედ ყველასათვის, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ამ წმინდანს.

კრებულში დაბეჭდილია მამა გიორგისთან შეხვედრის შთაბეჭდილებები, სამადლობელი წერილები და ლექსები. მათ შორის დარეჯან გიდოშვილის, ლილი კოჭლამაზიშვილის, ზუკაკიშვილის, ნათელა ხარაშვილისა და სხვათა შთაბეჭდილებები.

\*\*\*

ერთგვარ ანალოგიად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი თანამემამულის, ამჟამად ესპანეთში მოსახლე ქალბატონის – ლალი კიკნაძის ლექსების პატარა ნაკრები –

„ღმერთის რწმენა“, რომელიც ავტორმა მოკრძალებით გადასცა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას. კრებული მცირე ზომისაა – სულ 27 გვერდი, და განკუთვნილი არაა საყოველთაო გავრცელებისათვის; ამდენად, დაინტერესებულ პირებს მხოლოდ



დასახელებულ ბიბლიოთეკაში თუ შეუძლიათ მისი ნახვა.

წიგნში თავმჯორილი ლექსების თემატიკა შედარებით ერთფეროვანია და გაჟღერებულია ქრისტიანული რელიგიური სულიკვეთებით. გარდა იმისა, რომ ლექსები პირდაპირ ღვთიურ პიროვნებებს ეძღვნება – „ღმერთის რწმენა“, „ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევა“, „ეძღვნებ წმინდა მარიამ ღვთისმშობელს“, „ნიკოლოზ სასწაულმოქმედის დღე“, „კაბადოკიდან საქართველომდე“, „გიორგობა“, „წმინდა პანტელეიმონი“, „შობის ღამე“ და სხვ. რეალური პიროვნებებისა და მოვლენებისადმი მიძღვნილი ლექსებიც აღვსილია მორწმუნეობრივი სათნოებითა და რწმენით –

„ვერის უბნის ჩანახატი“, „ტყუპების ნათლობა“, „ჩემს ბავშვობის მეგობარს...“

## ლალის კიკნაძე

*დამოქმედება*



ავტორის შესახებ თვით წიგნს აქვს წამძღვარებული მცირე მონაცემები, სადაც ნათქვამია: „ლალის კიკნაძე ძირეული თბილისელი, კოლორიტული ქალბატონია. ბოლო ათეული წლის წინ ჩვენში დასადგურებულმა მძიმე პირობებმა აიძულა იგი, სხვა ქვეყანაში, კერძოდ, ესპანეთში გადასახლებულიყო. აქ დედის გარდაცვალების შემდეგ, სიმარტოვის გრძნობით შეპყრობილმა არც თუ ახალგაზრდა მათემატიკოსმა ქალმა პირველად მოკიდა ხელი კალამს...“

ალბათ ყველასათვის გასაგებია, რა მძიმე განცდებით დაიტვირთებოდა მისი სული, რომელიც შვებას რწმენაში პოუვდა. მისი ლექსები აღსავსეა კეთილშობილებით, სათნოებით, უბრალოებითა და შეულამაზებელი განცდით.

კრებულში შეტანილია ქ-ნ ლალის როგორც ქართული, ისე რუსულ ენაზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებები.

ყოველივე ამან განაპირობა ის დიდი ინტერესი, რომელიც მისდამი გამოიჩინა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველმა საზოგადოებამ, რომელმაც ამ გულმხურვალე შეხვედრა და წიგნის პრეზენტაცია მოეწყო ქ-ნ ლალის კიკნაძეს.

### ჩვენი შემოქმედება

## წიგნი, ბიბლიოთეკა, ნიჭიერება

წიგნი – ბიბლიოთეკა – მკითხველი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ბიბლიოთეკასთან.

აქტიური მკითხველი, უმეტეს წილად, ნიჭიერი ადამიანია, პიროვნება, რომელსაც წიგნი და ბიბლიოთეკა უყვარს, ის აუცილებლად გამოაჩენს თავის თავს. ყურადღებიან პრფოესიონალ ბიბლიოთეკარზე დიდად არის დამოკიდებული ნიჭიერი მკითხველის „აღმოჩენა“. თანამედროვე ბიბლიოთეკის მისიას წარმოადგენს, ხელი შეუწყოს და გამოავლინოს ასეთი მკითხველები. ჩვენს მკითხველებს ამის შესაძლებლობას აძლევს სპეციალური ფურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, რომელიც თავის ფურცლებს უთმობს შემოქმედ ბავშვ მკითხველებს.

№57 ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა წიგნისა და ბიბლიოთეკის კვირეულთან დაკავშირებით სხვა ღონისძიებებთან ერთად, გადაწყვიტეთ წაგვეზღოთ საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხას საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ირინა ცუხიშვილი. იგი

ყოველი არდადეგების დროს თბილისში ბებია-ბაბუასთან ყოფნის დროს ჩვენი აქტიური მკითხველიც არის. გატაცებულია პოეზიით და თვითონაც დამწყები პოეტია. ირინა წერს ლექსებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეზე, რომელთაც ისტორიისა და გეოგრაფიის წიგნებიდან იცნობს. მშობლიური ენისა და ლიტერატურის გარდა, ის დიდ ადგილს უთმობს ინგლისური ენის დაუფლებას, ამის შედეგია მისი გამარჯვება ინგლისური ენის სარაიონო კონკურსში და საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კონკურსის ხუთეულში მოხვედრა.

№57 ბიბლიოთეკის თანამშრომლები ვცდილობთ, ირინასწარი მკითხველები წავახალისოთ, დავამეგობროთ წიგნთან და ბიბლიოთეკასთან. კვირეულის დევიზიც ხომ ასეთია: „იზოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“. გოგონა, რომელიც სოფლად იზრდება, თბილისში არდადეგებზე ყოფნის დროს ჩვენი ბიბლიოთეკის „ბინადარიც“ არის.

ირინა ცუხიშვილი თავის პოეზიაში ეხება საქართველს.



ველოს ტკივილს აფხაზეთს, თბილისს, იმერეთს, ალაზანს, თავის ლექსებს უძღვნის გალაკტიონს, ვაჟას, ბარათაშვილს. ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ მის რამოდენიმე ლექსს და იმედს გამოვთქვამთ, მათი დაბეჭდვა დიდი სტიმული იქნება ირინა ცუხიშვილისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდეს წიგნსა და ბიბლიოთეკას.

**ლალი გოქაძე**

**ირინა ცუხიშვილი**

**ვაჟას**

ვაჟა ბურჯია მამულის,  
ბუნების ენის მფლობელი,  
ბერძენის გულის ტკივილის  
კაცის ენაზე მთხრობელი.  
იქ ცაში არწივს ფრთაგაშლილს  
ამბავს მოკითხავს ქვეყნისას,  
მინაზე შვლის ნუკრს ფეხშიშველს  
ატირებს გულდაფერფლილსა;  
მთის წყაროს ააჩუხჩუხებს,  
გულს გამოუღობს მინისას,  
სტუმარ-მასპინძელს აკიდებს  
ტვირთს ძველი შენაწირისა,  
და თავის მინის სიყვარულს  
სხვას ვერვის უწილადებსა,  
ბუნებას შევიწროვებულს  
თავის ჯავრს ათქმევენებსა.

**ტატო**

ნუთუ მართლა, სიყვარული მოანატრე ტატოს,  
ნუთუ მართლა მოუხურე კარი?  
შენს სამოთხის ამქვეყნიურ სატრფოს,  
დაგრჩენია მოხურული კარი.  
ამ კარს მიღმა მიუვალი გზებით  
ისევ მოდის თეთრი რაშით ტატო,  
მას ჰგონია, სიყვარულის რწმენით  
კვლავ დახვდები სასახლეში მარტო,  
მაგრამ მისთვის თეთრი წინანდალი,  
და სიცოცხლის სანატრელი პლატო,  
კვლავ დარჩება უნუგეშოდ ბნელში,  
გაცრეებულ იმედებთან მარტოდ.

**აფხაზეთს**

ხომ ლამაზია ეს საქართველო,  
მთა ზურმუხტით ნაზი და მშვიდი,  
ზღვა ფირუზისფრად ბობოქარ სულს რომ  
ჩუმად ინახავს მის დიდრონ გულში,  
ვინ თქვა, რა ენამ შენი შვენება,  
შენ ვერ აღგწერა დიდმა ქართველმა,  
მაგრამ მაინც გვსურს ჩვენ შეხსენება,  
ვისმა სისხლმა გვშვა და ვისმა გენმა,

ჩვენ დღეს ლექსებით ვიხსენებთ სოხუმს  
და სიყვარულით გვევსება გული,  
მინდა მეც ვნახო და სიზმრად ნახულს  
ცხადში ნანახით ავივსო გული,  
მინდა რომ ვნახო მე ჩემი თვალით  
რინა, გულრიფში და მღვიმე ქნარი...  
არ მინდა ჩვენი წარსულის დარდით  
დღესაც რომ იყოს მდუმარედ ქნარი.

**იმერეთს**

ჩემო იმერეთო, დედა იმერეთო,  
როგორ მსურს, შენს გულს რომ მოვეფერო,  
ჩემო იმერეთო, დედა იმერეთო,  
ნეტავ შემეძლოს, თავზე შემოგველო.  
მინდა ქუთაისმა გულში ჩამიხუტოს,  
გელათსა და ბაგრატს ჩუმად ვეალერსო,  
ძალა არ დაკარგოს სიტყვამ დავითისო,  
ხიბლი არ დაკარგოს ჰანგმა ამ დილისო,  
მინდა ჩემს კუთხეში ისევ ციმციმებდეს  
ლამით ცის თაღზე პატარა ვარსკვლავი,  
მინდა, რომ მწამდეს და მუდამ მჯეროდეს  
იმერეთს მუდმივად დანათის ვარსკვლავი.

**კახეთი**

როგორ მენატრება ალაზანი,  
და მის მწვანე გულზე დაფენილი  
ჩემი ლამაზი და მადლიანი,  
ჩემი საქართველოს წრფელი გული.  
ის, ხომ საქართველოს გულია,  
ჩვენი დიდებული წარსულია,  
ის ხომ „ჯიგრიანი“ კახეთია,  
და საქართველოს სანთელია.

**ალაზანი**

ორი ალაზნის სათავე,  
ბუნების საოცრებაა,  
მთაში უზადო მშვენიება,  
ბარში კი გაოცებაა.  
ალაზანს, თუშეთს დაწყებულს,  
კახეთს დაუდევს ბინაო,  
მთაში ზვირთებად წამოსულს,  
ბარში რამ დაადინაო.

**აკაკის პარსკვლავი**

ღმერთო, რა ძლიერ ანათებს,  
ცაზე პატარა ვარსკვლავი,  
და ეს ვარსკვლავი პირდაპირ  
ჩემს ლამაზ კუთხეს დანათის.  
და ეს მნათობი ცის თაღზე,  
მე ვფიქრობ, არის აკაკი,  
ის ბუმბერაზი იქიდან  
თავის საჩხერეს დაჰხარის!









## ცნობისათვის

„ივერიელი“

# საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინოვაცია

Dspace. nplg. gov. ge

2012 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის საქართველოში პირველი, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ციფრული ბიბლიოთეკა, რომელიც რეგისტრირებულია ციფრული ბიბლიოთეკების საერთაშორისო რეესტრებში და ოფიციალურ დონეზე აწარმოებს ურთიერთობებს მსოფლიოს სხვა ციფრულ ბიბლიოთეკებთან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია, რადგან თუ ადრე ციფრული ბიბლიოთეკების ბაზაში ქვეყანა საქართველო საერთოდ არ არსებობდა, ახლა უკვე საქართველო „ივერიელის“ სახით არის მსოფლიოს უძძღვრესი ციფრული ბიბლიოთეკების ჩამონათვალში.

„ივერიელი“ შექმნილია პროგრამული უზრუნველყოფა სპაცე-ის პლატფორმაზე. სპაცე დღესდღეობით არის ყველა გავრცელებული ღია პროგრამული უზრუნველყოფა მსოფლიოს მასშტაბით, განკუთვნილია აკადემიური, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციებისათვის. სპაცე არის უფასო პროგრამული უზრუნველყოფა, მარტივია საინსტალაციოდ და არის სრულად კონფიდურირებადი, როგორც პროგრამულად, ასევე ინტერფეისის მხრივ. საშუალებას იძლევა ელექტრონულ ფორმაში შექმნას და შეინახოს ნიგნები, პერიოდული გამოცემები, ვიზუალური და აუდიო-ვიზუალური გამოცემები, სტატიები, პრეპრინტები, ყველა სხვა სახეობის დოკუმენტი და დაარეგულიროს მათზე წვდომა. ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ დღითიდღე ივსება ახალ-ახალი მასალებით, ვინაიდან პროგრამულ უზრუნველყოფა სპაცე-ს საშუალება აქვს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განათავსოს ნებისმიერი რაოდენობის ფონდი და კოლექცია. სპაცე-ს აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: მასზე მუშაობა შეუძლია ერთდროულად ნებისმიერი რაოდენობის მომხმარებელს და ასევე არ აქვს მნიშვნელობა მომხმარებლის გეოგრაფიულ ადგილსამყოფელს. მისი მეშვეობით შესაძლებელია ერთიანი ციფრული ბიბლიოთეკის შექმნა მთელი საქართველოს მასშტაბით და მასზე შესაძლებელია მუშაობა საქართველოს საზღვრებს გარეთაც. „ივერიელში“ უკვე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ნიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ფოტოები, პლაკატები, ეტიკეტები, ფოტოები და სხვა იშვიათი გამოცემები, მათ შორის პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალი „ცისკარი“, პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი და სხვა მასალები.

# გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!






საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის  
თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, 1967 წელი



ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები 1980 წელი



საბრძნით აღმართული უფლის სადიდებლად,  
 ოცნა აცრესკრდებნ სამეფის ზარეზნი,  
 უხმონ საუფლოდან ზეცით ანგელოსთა,  
 ლოცუით და სიმღანლით ცრემლმზინარეზნი.  
 ი სმის ქვერუბითა ტკბილხმა უხილაჲი,  
 ა ნგელოსთმეფოსილი ღუთიყსათნთ ხდებნი.  
 დანანტოჲართა და ჩეენთა სულთ დამცველო,  
 ს იწმიდით იესეზნი და ქრისტე-ღმერთს ხვდებნი.  
 ა მოასხივე თრეყსა ღრთ ვარდასული,  
 ქ არგე მზის სინძეზით ჩუქურთმეზს ივერთა.  
 ა ღმზრდელთ სულთა და წინაპართ ქარინჩეჲ,  
 ო წმინისა წინამძღვართ ამერ-იმიერთა.  
 ო ვრეგიუთ მქუხარეჲ, მიწმულთო ღრუზულთა,  
 ქ ით ხარ მარგალიტი აისის ცუგარისა.  
 ქ რის შიმშისეული სულთა სათარეულით,  
 ლ ამბარდ ანთეზული მზეჲ მაცხლოვარისა.  
 ო ლეს ყოვლადწმიდა ზეცათგან ჩამოჲა,  
 ს ბეჭეჲ ქახტრეჲანზე ღმრთიონბრწყინეთ მქლომარე,  
 ქ ალოთას ამოგეგნებს წყალონის მადლითა,  
 ა ღსდებნ ქართველი ჩანსულით მთვლემარე.  
 ო აყვანისცემითა დედამართისამონლოისა,  
 ო დითგან დაეჲსა კურთხეჲსა-აღესლით,  
 ლ ურტ-ცისფერ ნისლოზში მამულთან შიმქკბარო,  
 ო ღწვი და მუარეულით ღმრთიუნბრძნით გახსნილი.  
 ქ აცთ საყვარულის და მშობისა მთესულოთ,  
 ო ცნებადქცეულა სიმრთელო მამულისა,  
 ს ხოლო სიმართლისაჲ, მსახურთ უფლისო,



„მინდა შაბათი დღე ნიგნის დღედ დავანესო“

ა ანათა ხმა გესმის ცრემლოვადანამულის.  
 ა ღვეჲსე დიღწით ბრძენო მესაჲეო,  
 ტ აძართა გუმბათებს ხმა სწუდებნ ღაღადის.  
 ო ჩიულოთა ჩიულოთ, დამცველოთ წინაპართ,  
 ო ბრწყინე უწმიდესო აწ და მარადის...  
 ა ქ ყოველ ქართველთა ნიჩის დამლოცველოთ,  
 ო არიგად ეფსარეი შარაჲანდმოსილოებს,  
 ქ ვათა ღაღადისი ღრთმ რომ ამოლოქსა,  
 ს თაჲანთმ საგალოზნელს ღმერთმეფოსილოებს.  
 ო დინე მოძღვრისა წყართუ უწმიდესო,  
 ლ ოცუენში ნუქარონ ღმრთიუდაცულო ერთთა.  
 ო მუდო ივერთა, სუეტო ნათლისათ,  
 ა კურთხეჲ სამშობლო ღუთიური ერთთა.  
 ქ ეთხო ყოველთა, სურნელომთვენილოთ,  
 ქ რისთჲის ნაღვაწი ქადრეზნ ჩაამეზდა.  
 ო რთაჲ მუყანასა - ღმრთისა საყანუში,  
 ო გული ნურგისა სიწმიდით განამეზდა.  
 ქ ს არს წყალონ ჟელოთგან ნამთენი,  
 ს ულოწმიდისა ცუგართ-დიდებნ შენდა!...